

თავისუფლება თუ სისულელე? A5



ახალი მერის განკარგულებანი A7



დეკლარაცია ოკუპირებული ტერიტორიებისთვის A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 23 ივლისი, 2005 წელი. №166 (1026)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო

სულხან მოლაშვილმა სასამართლო დარბაზის ერთ-ერთ კედელზე დამონტაჟებული ვიდეო-კამერის არსებობა გააპროტესტა და მოსამართლეს საქმის ობიექტურად განხილვა მოსთხოვა.

A2

## ამბები

### როგორ გამოვავლინოთ ფავორიტი?

მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის ფორმატი შენარჩუნებულია, ოპოზიცია ერთ საკითხში ვერ თანხმდება: რა ფორმით გამოავლინოს თავისი ფავორიტი კანდიდატები შუალედური არჩევნების წინ.

A3

## უცხოეთი

### გერმანიის ცხელი პოლიტიკური ზაფხული

21 ივლისის საღამოს, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას, გერმანიის პრეზიდენტმა ჰორსტ კიოლერმა ბუნდესტაგის დათხოვნისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ განაცხადა. ვადამდელი არჩევნები 18 სექტემბერს არის დანიშნული. თუმცა, კვლავ რჩება შანსი, რომ არჩევენები არ ჩატარდეს.

A4

## გულახდილად

### ახალი რესტორანი ჩვეული ვანდალიზმით?

თავხედობამ იმ უკიდურეს ზღვარს გადააბიჯა, რომლის მერე ჯვრის უნიკალური ძეგლიც კი არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენს.

A5

## რევიუ

### ექსპედიცია ჯავახეთში

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ე.წ. "მილიონიანი პროექტის" ფარგლებში ჯავახეთში არქეოლოგიური სამუშაოები დასრულდება.

A8

## ამინდი

| | 23/07 | 24/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 38 |
| ტყიბული | 36 | 37 |
| სოხუმი | 36 | 37 |
| გორი | 32 | 33 |
| ონი | 30 | 30 |
| ზუგდიდი | 40 | 41 |
| სამტრედია | 39 | 40 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8123 |
| ევრო | 2.2067 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1782 |
| რუბლი | 0.0634 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სხვადასხვა | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# სეპარატისტები თბილისში არ ჩამოვიდნენ

ნინო გომართელი

ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომელიც გუშინ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეც-წარმომადგენლის თბილისის ოფისში უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო. მხარეებს კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე უნდა ემსჯელათ, თუმცა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს.

არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განმარტებით, თბილისსა და სოხუმს შორის მოლაპარაკებების განახლების პირობად აფხაზურმა მხარემ საქართველოს სანაპირო დაცვის წარმომადგენლების მიერ 4 ივლისს, სოხუმის აკვატორიაში დაკავებულ თურქულ გემებზე არსებული ტვირთის აფხაზეთისთვის დაბრუნების საკითხი დააყენა.

**"ტვირთის გადმოუცემლობასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულება იმდენად ნეგატიურია, შეუძლებლად მივიჩნიეთ მოლაპარაკებების განახლება, მით უმეტეს, რომ ამ საკითხში ქართულმა მხარემ თავისი პირობა რამდენჯერმე დაარღვია,"** - აღნიშნა მან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი ვიცე-პრემიერი და კორექტირებული ბიუჯეტი



*ოპოზიციის გაპარვის შემდეგ, საკრებულოს უმრავლესობას ისღა დარჩენოდა, ხელი აეწია.*

*თბილისს ახალი ვიცე-პრემიერი უკვე ოფიციალურად ჰყავს. საკრებულომ გიორგი მელაძე ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე გუშინ უპრობლემოდ დაამტკიცა. მართალია, ოპოზიციას, როგორც მოსალოდნელი იყო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ არც უხმაურია. სამაგიეროდ, წლევანდელ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტი ოპოზიციამ უმრავლესობას კინაღამ ჩაუგდო.*

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე, ვიცე-პრემიერის კანდიდატურის დამტკიცებასთან ერთად, ფარულ კენჭისყრაზე კიდევ ორი საკითხი (მმართველობა-თვითმმართველობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარისა და

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟირესი გაათავისუფლეს!

გუშინ ცნობილი გახდა, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ალენ ჟირესი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფრანგი მწვრთნელის 70 ათასი დოლარი მართებს. სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ ეს თანხა ფეხბურთის ფედერაციას ამჟამად არა აქვს, მაგრამ ის შეეცდება, ჟირესს დავალიანება ეტაპობრივად გადაუხადოს.

რაც შეეხება კონტრაქტის გაწყვეტით გამოწვეულ საკომპენსაციო თანხას, ის ქართულ მხარეს არ ეკისრება, რადგან კონტრაქტში მითითებული ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ფრანგი სპეციალისტის ხელში საქართველოს ნაკრები შესარჩევი ციკლის მიმდინარეობისას დაკარგავს ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარ შანსს, ქართულ მხარეს უფლება ეძლევა, კონტრაქტი ცალმხრივად გააუქმოს.



*ფედერაციამ ჟირესს საკონტრაქტო პირობები ამოუწია და ხელები ააწევინა.*

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი მოგვიანებით გაირკვევა. ამჟამად სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით გერმანიაში მიემგზავრება. იქიდან კი გაცნობითი ხასიათის ვიზიტით შვეიცარიას ესტუმრება. სწორედ ამ ვოიაჟიდან დაბრუნების შემდეგ დაინიშნება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ჩვენი ინფორმაციით, ამ ვაკანტური ადგილის უმთავრეს კანდიდატად გაიოზ დარსაძე მოიაზრება.

# ჩაშლილი მოლაპარაკებების ორი მხარე

**აფხაზი ბიზნესმენები აცხადებენ, რომ ტვირთის დაბრუნებაში ფული გადაიხადეს; საქართველოში კი ამას აბსურდად მიიჩნევენ**

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ თბილისში დაგეგმილი შეხვედრა უსაფრთხოების საკითხებზე "ტექნიკურ პრობლემებს" უკავშირდება. თუმცა, მანამდე გამოცხადდა, რომ შეხვედრის ორგანიზების პრობლემები და ქართული მხარის მიერ დაკავებული გემის ტვირთის დაბრუნებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

აფხაზეთში გავრცელებული ინფორმაციით, კორეული გემი, რომლის ბორტზეც 200 ტონაზე მეტი ფქვილი და საშენი მასალებია, სოხუმის პორტში 20 ივლისს უნდა შემოსულიყო, თუმცა გემის ჩამოსვლა შეყოვნდა.

ამავე დროს, მეწარმეები, რომლებსაც ტვირთი ეკუთვნოდათ, კულუარულ საუბრებში აცხადებენ, რომ ტვირთის დაბრუნებაში მათ ქართულ მხარეს დიდი თანხა გადაუხადეს. თანხის ოდენობა არ დაუსახელებიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, მათ არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ ამ თანხის გადახდის გარეშე ტვირთის დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. "მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი თანხა გავუგზავნეთ, ტვირთი დაგვიბრუნეს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მეწარმემ - რეპატრიანტმა, რომელმაც კატეგორიულად გვთხოვა, მისი ვინაობა არ დაგვესახელებინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არუთინიანს ბრალი განზრახ მკვლელობაში წაუყენეს

10 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე ამერიკის პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობაში ეჭვმიტანილ ვლადიმერ არუთინიანს გუშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბრალი შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ქვლივიძის მკვლელობისთვის წაუყენეს. რაც შეეხება ტერაქტის განხორციელების მცდელობას, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ ვრცელდება.

არუთიანიანის ადვოკატი ხათუნა ქუთათელაძე, რომელიც, დაკავებულის თანხმობით, მას სახაზინო წესით დაუნიშნეს, დაცვის ქვეშ მყოფთან მხოლოდ ბრალის წარდგენისას შეუშვეს. მანამდე კი მთელი დღის მანძილზე მისი მოთხოვნა არუთინიანთან შეხვედრის შესახებ რეაგირების გარეშე რჩებოდა. დაკავებულთან არ შეუშვეს, ასევე, მისი დედა ანჟელა არუთინიანი. ადვოკატის განმარტებით, იგი შეხვდა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომელმაც აცნობა, რომ არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავაც მძიმეა. მიუხედავად ამისა, გუშინვე აპირებდნენ ციხის საავადმყოფოში მის გადაყვანას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ინვესტიციები განახევრდა

საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა მიმდინარე წელს განახევრებულია.

როგორც საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის მაკროეკონომიკური სტატისტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ვახტანგ ფხაკაძემ განაცხადა, ინვესტიციების შემცირება, ძირითადად, კომპანია BP-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციების შემცირებაზე მოდის, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰ-დენიზის მილსადენების მშენებლობაზე იხარჯება.

გასულ წელს მთლიანად განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების 70 პროცენტი სწორედ ამ მილსადენების მშენებლობაზე შემოსულ თანხებზე მოდის. 2005 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 63 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 47 პროცენტით ნაკლებია 2004 წლის შესაბამის პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაზე, რაც 119 მილიონ დოლარს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციიდან 97 მილიონი დოლარი BP-ზე მოდის, რამაც ამ პერიოდში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციის 81 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი BP-მ 38 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რაც მთლიანი ინვესტიციის 60 პროცენტია.

ინვესტიციების კლება 2004 წლის მესამე კვარტლის შემდეგ დაიწყო. კერძოდ, 2004 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ, ისევე, როგორც პირველ კვარტალში, 119 მილიონი დოლარი შეადგინა, მესამე კვარტალში - 134 მილიონი დოლარი, ხოლო მეოთხე კვარტალში - 126.5 მილიონი დოლარი.

ფხაკაძის განცხადებით, ინვესტიციების შემცირება ნავთობსადენზე მუშაობის დასრულებას უკავშირდება. BP-ს გარდა, საქართველოში პირდაპირ ინვესტიციებს ევროპის განვითარებული ქვეყნების - გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, რუსეთის, აშშ-სა და იაპონიის კომპანიებიც ახორციელებენ.

აღნიშნული ინვესტიციები, ძირითადად, მომსახურების ისეთ სფეროებში ხორციელდება, როგორიცაა ბენზინგასამართი სადგურები, მაღაზიების ქსელი.

ინვესტიციები ნავთობმომპოვებელ დარგშიც ხორციელდება.

ფხაკაძის ექსპერტული შეფასებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში განხორციელებული ინვესტიციები, რომლის ზუსტი მონაცემებიც სტატისტიკის დეპარტამენტს ჯერ არა აქვს, სავარაუდოდ, უფრო მეტი იქნება, რადგან მასზე პრივატიზაციიდან მიღებული თანხები აისახება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ფასების საერთო დონე უმნიშვნელოდ გაიზარდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) ერთი კვირის მანძილზე (15 ივლისი - 21 ივლისი) 100,11 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში, აღნიშნული მაჩვენებელი 100,13 პროცენტი იყო (ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას). წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე გაიზარდა 0,11 პროცენტით, მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 0,25 პროცენტით და არასასურსათო საქონელზე - 0,01 პროცენტით; ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა მზესუმზირის ზეთზე (4,0 პროცენტით) და ძროხის ხორცზე (3,9 პროცენტით); ხოლო ფასები შემცირდა ჭარხალზე (26,7 პროცენტით), ხახვზე, კარტოფილზე და პომიდორზე (25,0 პროცენტით), სტაფილოზე (14,7 პროცენტით) და ქათმის ბარკლებზე (2,9 პროცენტით). წინა კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა თხევად გაზზე (3,5 პროცენტით), ბენზინ "ნორმალზე" (1,7 პროცენტით) და დიზელის საწვავზე (0,8 პროცენტით); ხოლო ფასი შემცირდა კოლგოტზე (16,7 პროცენტით).

*24 საათი*

## მერიამ "გაზექსპორტს" ბუნებრივი აირის საფასური გადაუხადა

თბილისის მერიამ აღებული ვალდებულება შეასრულა და გუშინ, "გაზექსპორტს" თბილისის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური გადაურიცხა. როგორც "ინტერპრესნიუსს" "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი შაშვიაშვილმა განუცხადა, დღეს თბილისის მერიამ მოსკოვში 4,3 მილიონი ლარი გადარიცხა, რითაც სრულად დაიფარა თბილისის მიერ მაისსა და ივნისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური. **"ამჟამად, "თბილგაზს" მხოლოდ ძველი დავალიანება - 5,7 მილიონი დოლარი ერიცხება. მალე, "გაზექსპორტთან" დავალიანების დაფარვის გრაფიკი შეთანხმდება და ეს ვალიც დაიფარება,"** - განაცხადა შაშვიაშვილმა. მისივე ინფორმაციით, დღეისთვის თბილისი "გაზექსპორტისგან" დღე-ღამეში 420 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იღებს, თუმცა, 1 აგვისტოდან მოცულობა 390 ათას კუბურ მეტრამდე შემცირდება. **"ზაფხულში გაზის მოხმარება შემცირდა, ამიტომ, "თბილგაზის" მომხმარებლისთვის 390 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი საკმარისი იქნება. განაცხადს აირის მოცულობის შემცირების შესახებ "გაზექსპორტში" ორშაბათს გავგზავნით,"** - აღნიშნა შაშვიაშვილმა.

"გაზექსპორტი" "თბილგაზისგან" მიმდინარე დავალიანებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზმომარაგების განახევრებით იმუქრებოდა. ამის შესახებ "თბილგაზმა" გაფრთხილება 18 ივლისს მიიღო.

*ინტერ-პრესი*

## დავით მირცხულავას პროცესზე ბრალდების მოწმეები დაკითხეს

თბილისის საოლქო სასამართლოში საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესზე რამდენიმე მოწმე დაიკითხა.

გუშინ ჩვენება ბრალდების მხარის მიერ გამოძახებულმა მოწმეებმა - საქმეში დაზარალებულ მხარედ ცნობილმა "საქენერგო-2000"-ის გენერალურმა დირექტორმა მამუკა კილურაძემ, "საქენერგოს" ორმა ბუღალტერმა და კონტროლის პალატის ორმა თანამშრომელმა მისცა.

როგორც დაკავებული მირცხულავას ადვოკატები აცხადებენ, მოწმეთა ჩვენება მეტად არაარგუმენტირებულია და ბრალდების მხარეს საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. პროცესზე გამოძიების მოწმეთა დაკითხვა დასრულდა. სასამართლო სხდომა 23 სექტემბრისთვის განახლდება.

თბილისის საოლქო სასამართლოში ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ადვოკატები მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 30 მარტის გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე, მირცხულავას ბრალად თანამდებობის არაერთგზის ბოროტად გამოყენება, თაღლითობა და გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების დამალვა ედება. ამ უკანასკნელი ბრალდების გამო, მირცხულავას 3 000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

როგორც ცნობილია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მირცხულავას წინასწარი პატიმრობის კანონიერების შესახებ სარჩელი განიხილება. ადვოკატებს სტრასბურგის სასამართლოს იმედი აქვთ.

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა 2003 წლის დეკემბერში დააკავეს. მირცხულავა ენერგეტიკის სამინისტროს 1999-2003 წლებში ხელმძღვანელობდა.

*ინტერპრესნიუსი*

## აფხაზებმა გატაცებული ედუარდ ძიძიგური გაათავისუფლეს

აფხაზურ-ქართულ მხარეებს შორის მიღწეული მოლაპარაკების შედეგად ენგურის ხიდზე გუშინწინ, გვიან ღამით, დაახლოებით, ერთი თვის წინ გატაცებული ედუარდ ძიძიგური გაათავისუფლეს.

ედუარდ ძიძიგურის ოჯახის წევრებმა აფხაზურ მხარეს, გამოსასყიდის სახით, მიცუბიშის მარკის ჯიპი გაუგზავნეს, რის შედეგადაც აფხაზურმა მხარემ ძიძიგური გაათავისუფლა.

როგორც ძიძიგურის ოჯახის წევრები აცხადებენ, სავარაუდოდ, ძიძიგური ოჩამჩირეში ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელს ოტრა ტურამბას ერთი თვის განმავლობაში ჰყავდა დატყვევებული. ოჯახის წევრების განცხადებით, აფხაზური მხარე ტელეფონით უკავშირდებოდა მათ და მოითხოვდა, არ მიემართათ სამართალდამცველებისთვის, რაც შეასრულეს კიდეც. თავდაპირველად ტურამბას დაჯგუფება ძიძიგურის ოჯახის წევრებისგან 20 000 დოლარს მოითხოვდა, რისი გადახდაც ვერ შეძლეს და აფხაზურ მხარეს ავტომანქანა ჯიპი შესთავაზეს.

როგორც ედუარდ ძიძიგური აცხადებს, იგი ერთი თვის განმავლობაში ოჩამჩირეში ჰყავდათ დატყვევებული და ტყვეობის პირველ დღეებში მას სასტიკად ექცეოდნენ.

ამჟამად ედუარდ ძიძიგური საკუთარ ოჯახში იმყოფება.

*ინტერპრესნიუსი*

## არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები თაღლითობისთვის დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს" ოთხი წევრი - გურამ მენაბდიშვილი, მანანა ფროდიშვილი, ჯემალ თეთრაშვილი და იოსებ ხიმშიაშვილი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

აღნიშნული პიროვნებები შემჩნეულნი იყვნენ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტის უკანონო შემოწმებაში. ისინი სავაჭრო ქსელიდან ყალბი დოკუმენტებით უაქციზო საქონლის ამოღებას თვითნებურად ახორციელებდნენ და დარღვევებზე შემოწმების აქტებსაც წერდნენ, რისი უფლებაც არ ჰქონდათ.

ექვმიტანილთა დაკითხვა შინაგან საქმეთა კახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურში გუშინ გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

სისხლის სამართლის კოდექსით, თაღლითობა 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულების საქმეს თელავის რაიონული სასამართლო დღეს განიხილავს.

*ინტერპრესნიუსი*

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა

გაზეთ "24 საათის" 30 ივნისის 146 (10.06)-ე ნომერში გამოქვეყნდა გარდაბნის გამგეობის მიერ გამოცხადებული კომერციული კონკურსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

აღნიშნულ კონკურსში ჩამოთვლილ საკრებულოებს დაემატოს ლემშვენიერას, ალთაკლიის, ახალი სამგორისა და კრწანისის საკრებულოები.

# არუთინიანს ბრალი განზრახ მკვლელობაში წაუყენეს

პირველი გვერდიდან

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსის ემზარ ღარიბაშვილის განცხადებით, ბრალის წაყენების შემდეგ გამოძიება სასამართლოს ბრალდებულისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით მიმართავს. დაკავებულისთვის ბრალის წაყენების პარალელურად, გუშინვე ვაშლიჯვრის N11 კორპუსთან, სადაც ვლადიმერ არუთინიანი ცხოვრობდა, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ორი წარმომადგენელი მივიდა. მათ საცხოვრებელი სახლი, ეზო და ის ნაკვეთები დაათვალიერეს, სადაც სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილი დააკავეს. FBI-ის წარმომადგენლებმა რამდენიმე სურათი გადაიღეს და ვაშლიჯვრის ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს. გუშინვე გაიხსნა ეჭვმიტანილის კუთვნილი სარდაფი, სადაც, გამოძიების ვარაუდით, ქიმიური ლაბორატორია უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, არუთინიანი 20 ივლისს ვაშლიჯვარში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს. მას ბრალი ედება 2005 წლის 10 მაისს, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტისას თავისუფლების მოედანზე ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობაში. დაკავებისას არუთინიანმა პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რამაც ზურაბ ქვლივიძის სიცოცხლე იმსხვერპლა.



შსს-ს მიერ გავრცელებული ფოტოსურათი, რომელზეც ისრით მინიშნებულია არუთინიანი. სავარაუდოდ, ხელში მას ცხვირსახოცგადაფარებული, სასროლად გამზადებული ხელყუმბარა უჭირავს.

ტერორისტული აქტის მცდელობის ფაქტზე აღძრულ საქმეს კი შს სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტი იძიებს. სამართალდამცველებმა არუთინიანის სახლის ჩხრეკისას ამოიღეს თვითნაკეთი დეტონატორები, ხელყუმბარები, ხმლები და თბილისის რუკები.

*24 საათი*

# ახალი ვიცე-პრემიერი და კორექტირებული ბიუჯეტი

პირველი გვერდიდან

საკრებულოს გამწვანება-განაშენიანების სამსახურის ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ) დააყენეს და სამივე საკითხი, ოპოზიციის გარეშე, ანუ დიდი უმრავლესობით დაამტკიცეს. ასე რომ, ქალაქის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე გიორგი მელაძე დამტკიცდა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ - ახალი მერი გიგი უგულავა, საკრებულოს გამწვანება-განაშენიანების სამსახურის ხელმძღვანელად კი, როგორც სავარაუდო იყო, გარემოს დაცვის საქალაქო კომიტეტის უფროსის მოადგილე ზაურ თაბაგარი.

ფარული კენჭისყრის შემდეგ საკრებულომ ქალაქის განაშენიანების პრობლემაზე გადაინაცვლა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ შემუშავებული "უფლებრივი ზონირების რუკა" დაამტკიცა. ამ რუკის არსებობა ნიშნავს, რომ ამიერიდან ქალაქის ცენტრში, ისტორიულ ზონაში განაშენიანების სიმჭიდროვისა და შენობების სართულიანობის განსაზღვრა ცალკეული პიროვნებების გადაწყვეტილებებზე აღარ იქნება დამოკიდებული. თუმცა, გარკვეული "ხვრელი" მაინც არსებობს - ქალაქის ზონალური საბჭოსა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ზონალური რუკით განსაზღვრული სიმჭიდროვის კოეფიციენტების შეცვლა შეიძლება.

გუშინდელ სხდომას ინციდენტის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ოპოზიციამ ბოლო საკითხის (2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ) ჩაგდება სცადა და სხდომიდან ჩუმად გაიპარა, რათა კვორუმი არ შემდგარიყო. თუმცა, უმრავლესობა რა დაბნეულა, ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ, კვორუმი შეკრიბა და წლევანდელ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა.

# სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გუშინ სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო. გუშინდელ გამწესრიგებელ სხდომაზე საკუთარ სასამართლო პროცესს შეფასება თავად განსასჯელმა მისცა. სულხან მოლაშვილმა სასამართლო დარბაზის ერთ-ერთ კედელზე დამონტაჟებული ვიდეო-კამერის არსებობა გააპროტესტა და მოსამართლეს საქმის ობიექტურად განხილვა მოსთხოვა. **"ის, რაც ამ პროცესის დასაწყისშივე ხდება, თავისთავად ნათელს ხდის, რომ მთელი სასამართლო პროცესი სახელისუფლებო ზეწოლისა და კონტროლის ფონზე წარიმართება. დარბაზში დამონტაჟებულია ვიდეო-კამერა, რომელიც შეერთებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და უშიშროების სამსახურთან. ეს არის გადმონაშთი კომუნისტური პერიოდისა, როდესაც პოლიტიკური საქმეები განიხილებოდა. მაშინ მათი გადაღება სწორედ ასეთი ვიდეოთვალის საშუალებით ხდებოდა. ბატონო მოსამართლევ, თქვენც კარგად იცით, რომ სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. იმისთვის, რომ თქვენ თავისუფალი აღმოჩნდეთ ზეწოლისგან, გთხოვთ, კედელზე დამონტაჟებული ეს ვიდეოაპარატურა ან მოაშოროთ ამ დარბაზს ან სასამართლო პროცესი სხვა დარბაზში ჩაატაროთ"**, - მოლაშვილის ეს მოთხოვნა მოსამართლემ დააკმაყოფილა და ვიდეოკამერას თეთრი ტილო ჩამოაფარეს.

განსასჯელის ინტერესების დამცველებმა გამწესრიგებელ სხდომაზე სულხან მოლაშვილის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენეს. ადვოკატები სოსო ბარათაშვილი და შალვა შავგულიძე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების კონკრეტული მუხლების მოშველიებით ირწმუნებოდნენ, რომ მოლაშვილის მიმართ დარღვეული პროცესუალური ნორმების გამო, სასამართლო ვალდებულია, განსასჯელი უკანონო პატიმრად ცნოს და სასწრაფოდ გაათავისუფლოს პატიმრობიდან. მილაშვილის ადვოკატების განმარტებით, კონსტიტუციის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. მოლაშვილი კი წინასწარ პატიმრობაში 11 თვისა და ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ადვოკატები თვლიან, რომ დაირღვა მოლაშვილის კანონიერი უფლებები და იგი დღემდე უკანონო პატიმარია. ადვოკატების არგუმენტებს, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება ბრალდების მხარე. **"შუამდგომლობა საფუძველს მოკლებულია და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს"** , - ასეთი გახლავთ სახელმწიფო ბრალდების პოზიცია. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ინტერესების დამცველების მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ორშაბათს გახდება ცნობილი. სწორედ ორშაბათს განახლდება სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი.

*24 საათი*






### მოკლედ

### ბიზნესმენ ტარიელ ვასაძის ენერგოკომპანია, შესაძლოა, "რაო ეესმა" იყიდოს

ბიზნესმენ ტარიელ ვასაძის ენერგოკომპანია, შესაძლოა, "რაო ეესმა" იყიდოს. რუსული ენერგოკომპანიის წარმომადგენლები კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიით უკვე დაინტერესდნენ. როგორც სარწმუნო წყარომ "ინტერპრესნიუსს" აცნობა, "რაო ეესის" თანამშრომლები "კახეთის ენერგოდისტრიბუციაში" არსებული ვითარების გასაცნობად კახეთში უკვე იმყოფებოდნენ. "რაო ეესის" გარდა, "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" შესყიდვა ჩინელ ინვესტორებსაც სურთ, რომლებმაც პანკისის ხეობაში "ხადორჰესი" ააშენეს. დათანხმდება თუ არა ბიზნესმენი და უკრაინის რადას დეპუტატი ტარიელ ვასაძე "რაო ეესის" კომერციულ წინადადებას, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის ამასწინანდელი განცხადების გათვალისწინებით, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ვასაძისათვის კომპანიის გაყიდვა ამ ეტაპზე ყველაზე მომგებიანია. გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, რეგიონების მმართველებთან შეხვედრისას, უკრაინის რადას დეპუტატს "ყალბი ბიზნესმენი" უწოდა. "ავამოქმედოთ "გაკოტრების შესახებ" კანონი, თუ საჭიროა, გავამარტივოთ მისი პროცედურები, გავაკოტროთ ვასაძე და გავაპანღუროთ აქედან. საქართველო არ არის ჯიხური და არ არის სათამაშო ქვეყანა," - განაცხადა სააკაშვილმა.

"კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ერთადერთი სამხარეო ენერგოკომპანია იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოცხადებული საყოველთაო პრივატიზაციის დროს გაიყიდა. მაშინდელმა მეპატრონეებმა კომპანიის შესაძენად საჭირო თანხები "საქართველოს საფოსტო ბანკიდან" ისესხეს. მოგვიანებით, სესხის დაფარვა ვერ მოხერხდა, ამიტომ კომპანია ბანკის დებიტორი გახდა. "საფოსტო ბანკის" ლიკვიდაციის პერიოდში ბანკის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, უკრაინაში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ტარიელ ვასაძემ გადაწყვიტა, ბანკის დებიტორი კომპანია საკუთრებაში დაეტოვებინა. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოში მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენცია ჩატარდება

"სახალხო ბანკის" ინიციატივით და ორგანიზებით, საქართველოში მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენცია ჩატარდება.

კონფერენციას, რომელიც 26-29 ივლისს თბილისში, "სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება, დაესწრებიან აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბერძნეთის, გაერთიანებული საემიროების, ბალტიისა და დსთ-ს ქვეყნების ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები, მათ შორის - VISA International, NCR, Wincor Nixdort, Travellers Cheques, Rosan, ACI Worldwide. წლევანდელი კონფერენცია მიზნად ისახავს ახალი ტექნოლოგიებისა და იდეების გაცვლას, გამოცდილებათა გაზიარებას, კონკრეტული რჩევების მიღებას და ახალი პარტნიორული წინადადებების ურთიერთშეთავაზებას. ამ ეტაპზე "სახალხო ბანკის" მთავარი პრეროგატივაა საცალო მომსახურების განვითარებისათვის მართებული სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, რომელიც "სახალხო ბანკის" მომსახურებას უფრო დახვეწილს გახდის. ეს ხელს შეუწყობს ბანკსა და მომხმარებელს შორის მოქნილი და კომფორტული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. პირველი საერთაშორისო საბანკო კონფერენცია, "სახალხო ბანკის" ორგანიზებით, შარშან ჩაქვში ჩატარდა. კონფერენცია რეგიონში საცალო საბანკო მომსახურების განვითარებას მიეძღვნა. **ინტერპრესნიუსი**

### ელექტროენერგიის ახალი ლიმიტები დამტკიცდა

ელექტროენერგიის საპროგნოზო ბალანსი შედგენილია მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გათვალისწინებით. "ენგურჰესზე" გათვალისწინებულია ოთხი აგრეგატის მუშაობა, ჰიდრორესურსებიდან გამომდინარე, სადგურის საშუალო დღე-ღამური საპროგნოზო გამომუშავება საშუალოდ 11.7 მლნ კვტსთია. მთლიანობაში ჰიდროსადგურების საშუალო დღე-ღამური გამომუშავება 22.1 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას შეადგენს, მაქსიმალური დატვირთვით 1203 მვტ. მიმდინარე წლის 4 ივლისიდან თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, გათვალისწინებულია ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში თვეში დაახლოებით 40.0 მლნ.კვტსთ ოდენობით. 16-31 ივლისის პერიოდისათვის საპროგნოზო საშუალო დღე-ღამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ (ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით) 20.2 მლნ კვტსთ შეადგინა, მათ შორის: ქ. თბილისისათვის დაგეგმილია ელენერგიის დღე-ღამური მიწოდება 4..7 მლნ კვტსთ, შესაბამისად, მაქსიმუმზე სიმძლავრე 260 მვტ. აჭარის ენერგოკომპანიისათვის დაგეგმილია ელექტროენერგიის მიწოდება 1.05 მლნ კვტსთ-ის ოდენობით, სიმძლავრე მაქსიმუმზე 70 მვტ-ია. კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის დაგეგმილია 0.338 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება, მაქსიმუმზე 35.1 მვტ სიმძლავრით. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის 5.0 მლნ კვტსთ ელექტროენერგიის მიწოდება დაგეგმილი, მაქსიმუმზე 330 მვტ სიმძლავრით. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჩაშლილი მოლაპარაკებების ორი მხარე

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით გულუამ "24 საათს" განუცხადა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობს, გაავრცელოს დეზინფორმაცია, თითქოს ქართული მხარე ხელს უშლის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მშვიდობიანი განვითარების პროცესს. **"სინამდვილეში პრეზიდენტის ბრძანებულება აწესრიგებს ჰუმანიტარული ტვირთის გადაადგილებას. თუ აფხაზურ მხარეს თავად არ სურს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა, მაშინ რატომ არ მოქმედებს კანონის ფარგლებში?"**

გულუას განმარტებით, თურქულ გემზე "ტარიკ გუნერ", რომელიც ოთხ ივლისს დააკავეს, მოთავსებული იყო კონტრაბანდული ტვირთი: **"საბუთებით გაფორმებული საქონელი და რეალური ტვირთი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კიდევ ბევრი სხვა დარღვევაც შეინიშნებოდა. უკანონოდ გადაჰყავდათ გემზე მყოფი ხალხი. მიუხედავად ყველაფერ ამისა, საქართველოს პრეზიდენტმა კეთილი ნება გამოიჩინა და აფხაზ ხალხს ეს ტვირთი აჩუქა. ასეთ შემთხვევაში ფულს ვინ აიღებდა?! ეს ხომ აბსურდია."**

გულუას ვერსიით, ამგვარი დეზინფორმაციის გავრცელება ტვირთის მეპატრონესაც აძლევს ხელს: **"მეპატრონეს სურს, ეს ყველაფერი გაყიდოს. მაგრამ მას ხალხი ეტყვის - ეს ხომ საქართველოს პრეზიდენტმა გვაჩუქა, საჩუქარი კი უნდა დაგვირიგოთო. აქედან გამომდინარე, მეპატრონე ავრცელებს ხმებს ტვირთის დიდ თანხებში გამოსყიდვის შესახებ."**

## საქართველოს შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადება

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზად ქართველი მესაზღვრეების მიერ იმ თურქული გემის ("ტარიკ გუნერ") დაკავება სახელდება, რომელიც თითქოსდა ჰუმანიტარული ტვირთით იყო დატვირთული.

საქართველოს შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არასოდეს შეუშლია ხელი აფხაზეთის პორტებში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანისათვის. უფრო მეტიც, პრეზიდენტის ბრძანებულებით, აფხაზეთის პორტებში მსგავსი ტვირთის კანონიერი და უსაფრთხო ტრანსპორტირების სისტემა შემუშავდა.

ჩვენ იძულებულნი ვართ, დავაკავოთ ის მცურავი საშუალებები, რომლებიც არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას და ნაოსნობის საერთაშორისო წესებს, ისე, როგორც ეს ხსენებულ თურქულ გემთან დაკავშირებით იყო. მსგავსი ღონისძიებები სანაპირო დაცვის მიერ ხორციელდება სისტემატურად. ამდენად, იმის მტკიცება, რომ თურქული გემის დაკავება "გრაფიკით", სპეციალურად სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩასაშლელად განხორციელდა, რბილად რომ ვთქვათ, არალოგიკურია.

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველო**




# სეპარატისტები თბილისში არ ჩამოვიდნენ

პირველი გვერდიდან

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით კი, პრეზიდენტ სააკაშვილის დაპირების შესაბამისად, ჩამორთმეული ტვირთი, როგორც პრეზიდენტის საჩუქარი, აფხაზურ მხარეს გადაეცემა.

**"საქართველოს სანაპირო დაცვის მიერ დაკავებული ტვირთი ჰუმანიტარული კი არა, კომერციული იყო,"** - აღნიშნა მან.

ქართველი მესაზღვრეების მიერ 3 ივლისს დაკავებულ თურქულ გემებზე არსებული ტვირთის აფხაზური მხარისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 12 ივლისს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ბათუმში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობისას მიიღო.

აფხაზური მხარის უარის მიუხედავად, მოლაპარაკებები თბილისში მაინც გაიმართა და მასში, ქართულ მხარესთან ერთად, გაერო-ს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში ირაკლი ალასანიამ დამსწრეებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ ქართული მხარის მიერ შემუშავებული წინადადებები წარუდგინა.

**"გაერო-ს წარმომადგენლობას გადავეცით დამუშავებული დოკუმენტი, რომელსაც ქართული მხარე აფხაზურს ერთობლივი დეკლარაციის შესამუშავებლად და შემდგომ ხელმოსაწერად სთავაზობს. იმედი მაქვს, ჩვენ მიერ შემუშავებულ დოკუმენტს აფხაზური მხარე უახლოეს დღეებში მიიღებს და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები,"** - აღნიშნა ალასანიამ.

ქართული მხარე დარწმუნებულია, აღნიშნული დოკუმენტის აფხაზური მხარის მიერ გაზიარების შემთხვევაში, იგი მხარეებს შორის ურთიერთნდობას გააღრმავებს და რეალურ პირობებს შექმნის აფხაზურ მხარესთან შინაარსიანი დიალოგის დასაწყებად.

# როგორ გამოვავლინოთ ფავორიტი?

### ოპოზიცია ამაზე ჯერჯერობით ვერ თანხმდება

*მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის ფორმატი შენარჩუნებულია, ოპოზიცია ერთ საკითხში ვერ თანხმდება: რა ფორმით გამოავლინოს თავისი ფავორიტი კანდიდატები შუალედური არჩევნების წინ.*

ვერიკო თევზაძე

ოპოზიციურ ძალებში სამი ძირითადი ხედვა შეინიშნება: "კონსერვატორები" და "ახლები" ოპოზიციის კანდიდატის გამოსავლენად წინასწარ არჩევნებს - პრაიმერს მოითხოვენ, "რესპუბლიკური პარტია" უპრიანად მიიჩნევს სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას, "ლეიბორისტებს" საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ თუ არა, თუმცა ისინი ყველა ვარიანტში მხარს ოპოზიციის წარმომადგენლებს დაუჭერენ.

"კონსერვატორებისთვის" "რესპუბლიკელების" უარი წინასწარ აჩევნებში მონაწილეობაზე მოულოდნელი აღმოჩნდა. "რესპუბლიკელები" კი აცხადებენ, რომ მათი პოზიცია არც "კონსრევატორებისთვის" და არც სხვებისთვის სიურპრიზი არ უნდა ყოფილიყო. **"კონსერვატორებმაც და სხვებმაც იცოდნენ, რომ ჩვენ უპირატესობას სოციოლოგიურ კვლევას ვანიჭებდით. ოპოზიციას ახლაც ვთავაზობთ ჩვენს წინადადებას, თუკი ამაზე წამოვლენ,"** - განუცხადა "24 საათს" "რესპუბლიკელთა" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა. **"ჩვენ ვთვლით, რომ ამ ეტაპზე სოციოლოგიური კვლევა უფრო სანდო საშუალებაა, სხვა შემთხვევაში ხელისუფლებას მეტი მანიპულირების საშულება ექნება,"** - დასძინა ჩვენთან საუბრისას დავით უსუფაშვილმა.

რამდენად დააზარალებს ოპოზიციას ის ფაქტი, რომ ისინი სხვადასხვა ფორმით აპირებენ ფავორიტი კანდიდატების გამოვლენას?

კობა დავითაშვილის აზრით, "რესპუბლიკელების" უარი პრაიმერზე თავად ამ პარტიას უფრო დააზიანებს, ვიდრე გაერთიანებულ ოპოზიციას. "რესპუბლიკელები" პირიქით ფიქრობენ, ისინი დანარჩენ ოპოზიციას საკუთარ უპირატესობაზე მიანიშნებენ: **"შუალედურ არჩევნებში ამომრჩევლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის სიძლიერე ოპოზიციური კანდიდატისა და არა მისი პარტიული წარმომავლობა. ჩვენ ამ თვალსაზრისით ცუდად ნამდვილად არ გვაქვს საქმე. საარჩევნო კამპანიის დაწყებამდეც კი არის ცნობილი, რომელი კანდიდატი იქნება ფავორიტი ამა თუ იმ ოლქში."**

"ლეიბორისტ" გიორგი გუგავას განცხადებით, ისინი ყველა ვარიანტში მხარს დაუჭერენ ოპოზიციის კანდიდატს, მიუხედავად იმისა, თავად მიიღებენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში. **"ჯერჯერობით, პარტიას ამის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიუღია,"** - განმარტავს გუგავა.







# საქართველოში ტექნოლოგიური ინკუბატორის შექმნა იგეგმება

საქართველოში ტექნოლოგიური ინკუბატორის შექმნა იგეგმება, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების მეცნიერულ ფორმირებას უზრუნველყოფს.

როგორც საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრში (CERMA) განაცხადეს, ბოლო წლებში საქართველოში ეკონომიკური სიდუხჭირისა და რესურსების სიმწირის გამო ქართული სამეცნიერო პოტენციალი განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. უცხოელ ექსპერტთა აღიარებით კი, საქართველოში მეცნიერების თითქმის ყველა დარგში წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი.

**"მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის პრაქტიკულად რეალიზაციისთვის მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული ფორმაა ტექნოლოგიური ინკუბატორი. ასეთი ინკუბატორი საქართველოშიც ჩამოყალიბდება, შეიქმნება კონკურენტული ეკონომიკური გარემო, რომელიც მაღალ ტექნოლოგიებზე აგებული მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოების საშუალებას მოგვცემს,"** - აცხადებენ CERMA-ში.

CERMA-ს მაღალი ტექნოლოგიების ხელშემწყობი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ წარმოაჩინა, რომ შესაძლებელია ქართველი მეცნიერებისთვის დახმარების გაწევა მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტების საცდელი ნიმუშების დამზადებით და მსოფლიო ბაზარზე მათი გატანით.

CERMA-ს კონსულტანტები ქართველ მეცნიერებთან ერთად აღნიშნულ სამუშაოს 7 სხვადასხვა პროექტში ახორციელებენ. მართალია, ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სამეცნიერო სფეროებს მოიცავს, მაგრამ თითოეული მათგანი ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

უცხოურმა კომპანიებმა, რომლებსაც საქართველოში ტექნოლოგიური პროექტები გააჩნიათ, ინკუბატორის შექმნის პროექტი დააფინანსეს. კერძოდ, პროექტის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელია British Petroleum-ი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი.

*24 საათი*

# გერმანიის ცხელი პოლიტიკური ზაფხული

## ევროპის უმდიდრესი სახელმწიფო რიგგარეშე არჩევნებისთვის ემზადება

ნიკა თარაშვილი

*21 ივლისის საღამოს, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას, გერმანიის პრეზიდენტმა ჰორსტ კიოლერმა ბუნდესტაგის დათხოვნისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ განაცხადა. ვადამდელი არჩევნები 18 სექტემბერს არის დანიშნული. თუმცა, კვლავ რჩება შანსი, რომ არჩევენები არ ჩატარდეს.*

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ ბოლო თვეების განმავლობაში გერმანიაში არსებული პოლიტიკური კრიზისიდან ლოგიკური გამოსავალია. სხვათა შორის, როგორც უკანასკნელი გამოკითხვები ცხადყოფს, ამ ნაბიჯს გერმანელ ამომრჩეველთა უმრავლესობა უჭერს მხარს. ტელეკომპანია ARD-ს მიერ ჩატარებული ბლიც-გამოკითხვის შედეგად, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მოსახლეობის 78 პროცენტი ემხრობა.

რიგგარეშე არჩევნების ერთადერთ წინააღმდეგობად შეიძლება იქცეს საკონსტიტუციო სასამართლოში მთავრობის მიმართ უნდობლობის ვოტუმის პროცედურის გასაჩივრება. შეგახსენებთ, ბუნდესტაგმა მიმდინარე თვის დასაწყისში, თავად კანცლერის ინიციატივით, მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. გერმანიის კონსტიტუციაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ რიგგარეშე არჩევნების ერთადერთი წინაპირობაა ისეთი სიტუაცია, როცა კანცლერი რეალურად კარგავს პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერას. ხოლო ამ შეთხვევაში უნდობლობის ვოტუმის მანიპულირებას ჰქონდა ადგილი და მისი მიზანი, სწორედ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა იყო. ანუ, შესაძლოა, გერმანიის ბუნდესტაგის ზოგიერთმა წევრმა ჩათვალოს, რომ კონსტიტუცია დაირღვა და საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი - ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არაფერია.

თუმცა, მთავარი თემა, რაზეც გერმანელი (და არა მარტო) პოლიტიკოსები და ჟურნალისტები მსჯელობენ, არჩევნების შემდგომი გერმანიის საგარეო პოლიტიკურ კურსს უკავშირდება. ბევრი მიმომხილველი უკვე დღეს ვარაუდობს, რომ შრიოდერსა და მის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მიუხედავად ვადამდელი არჩევნებისა, მმართველობის გაგრძელება არ უწერიათ. ქრისტიან-დემოკრატების სათავეში მოსვლით კი, შესაძლოა, რადიკალურად თუ არა, საკმაოდ მნიშვნელოვნად შეიცვალოს ევროპის უმდიდრესი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორები.

გავრცელებული აზრით, ე.წ. სამთა კავშირი (პუტინი-შრიოდერი-შირაკი) უფრო მეტად პირად სიმპათიებზე იყო აგებული, ვიდრე პრაგმატულ მოსაზრებებზე. უფრო მეტიც, ბევრი გერმანელი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ შრიოდერის მმართველობის პერიოდში გერმანია, მნიშვნელოვანწილად, საფრანგეთის ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურებოდა და არა საკუთარის.

ასე რომ, თითქმის გარანტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ანგელა მერკელის ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში (სხვათა შორის, თუ ეს პროგნოზი გამართლდა, გერმანიას პირველად ისტორიაში ქალი-კანცლერი ეყოლება) კონტინენტის ინდუსტრიული გიგანტი გაცილებით პროამერიკული (შეიძლება ითქვას - პროევროპულიც - სამთა კავშირის დაპირისპირებამ აშშ-სთან, მაშინ როცა სხვა ევროპული ქვეყნები ვაშინგტონის პოლიტიკას იზიარებდნენ, ევროკავშირი თითქმის გახლიჩა) იქნება, ვიდრე შრიოდერის მმართველობის პერიოდში. ასევე, წინასწარ ცნობილია, რომ შრიოდერისგან განსხვავებით, მერკელს ნაკლებად მეგობრული ურთიერთობები ექნება რუსეთის ლიდერთანაც. გასულ კვირას მერკელმა საჯაროდ განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში იგი "რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან მიმართებაში "კრიტიკულ" პოზიციას" დაიკავებს".

რუსეთისგან განსხვავებით, შესაძლოა კიდევ უფრო გამყარდეს თანამშრომლობა საფრანგეთთან. ანგელა მერკელი ორი დღის წინ საფრანგეთში ვიზიტისას აშკარად მიანიშნებდა, რომ იმედი აქვს, საფრანგეთი მისი ძირითადი პარტნიორი იქნება.

ასე რომ, აშკარაა, მოსკოვს შრიოდერზე მოუწევს "ფსონის დადება". გერმანიაში უკვე დადის ხმები, რომ პუტინის ადმინისტრაციამ რუსულ საინფორმაციო საშუალებებს კანცლერ შრიოდერის "რეკლამირება" დაავალა. საგულისხმოა, რომ გერმანიაში რუსულ პრესას ყოველდღიურად ნახევარი მილიონი რუსი ემიგრანტი კითხულობს.

# იტალიის ხელისუფლება ანტიტერორისტულ ზომებს ამკაცრებს

ევროპაში უკანასკნელ ხანს გახშირებული ტერაქტებით შეშფოთებულმა იტალიის ხელისუფლებამ 22 ივლისს ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედების ღონისძიებათა კომპლექსური დოკუმენტი დაამტკიცა.

იტალიური მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ანტიტერორისტული პაკეტი", რომელიც ლონდონის ტერაქტების შემდეგ იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაურის ჯუზეპე პიზანუს მიერ მომზადდა, სასწრაფოდ დაამტკიცა პარასკევს მინისტრთა საბჭომ. დოკუმენტი, ძირითადად, სატელეფონო ზარებსა და ელექტრონულ ფოსტაზე კონტროლის გამკაცრებას ეხება.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, იტალიის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ინტერნეტ-კაფეს ადმინისტრაცია ვალდებულია, დაარეგისტრიროს მომხმარებელი მათგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. პირებს, რომლებიც ყალბი დოკუმენტებით რეგისტრირებას შეეცდებიან, თავისუფლების აღკვეთა ელით. რაც შეეხება მათ, ვინც ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში იქნებიან ეჭვმიტანილნი, ჩაუტარდებათ გენეტიკური ანალიზი. თუკი ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ემიგრანტებს შორისაც ექნება, მათ დაუყოვნებლივ გააძევებენ ქვეყნიდან.

"ანტიტერორისტული პაკეტის" მიღების გარდა, იტალიის ხელისუფლებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით ჩამოაყალიბა ახალი, სპეციალური ორგანო - "ანტიტერორისტული პროკურატურა" - იგივე "სუპერპროკურატურა".

დაბოლოს, "ანტიტერორისტული პაკეტის" მიღების პარალელურად, მმართველი კოალიციური პარტიის "ჩრდილოეთის ლიგის" ლიდერებმა იუსტიციისა და რეფორმების საკითხთა მინისტრთან ერთად წამოაყენეს წინადადება საფრანგეთისა და ნიდერლანდების მსგავსად, დროებით შეაჩერონ შენგენის შეთანხმების მოქმედება. ზემოაღნიშნული ჯგუფის თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, ეს წინადადება არ გავიდა.

"Programme of Assistance for the Prevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD Programme).
This Programme is funded by the European Union"

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა

UNDP

## განცხადება

სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამას (**SCAD**) ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**).

ამ პროგრამის კომპონენტებს წარმოადგენენ:

1. ანტინარკოტიკული ჯგუფის დაფუძნება თბილისის აეროპორტში და მისი ოფისის აღჭურვა საოფისე ავეჯით;
2. ნარკოტიკული ობსერვატორიის დაფუძნება ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში და მისი აღჭურვა საოფისე ავეჯით.

**UNDP** აცხადებს კონკურსს ავეჯის შეძენაზე.

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები პროგრამის კოორდინატორ ბ-ნ პაატა ნოზაძესთან ა/წლის 5 აგვისტოს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, ერისთავის 9, გაეროს სახლი.

დეტალური სპეციფიკაციისათვის და სხვა ინფორმაციისათვის მიმართეთ პროგრამის კოორდინატორს, პაატა ნოზაძეს ტელ: 25-11-26/28/29/31, მობ: 899 191 000

E-mail: paata.nozadze@undp.org.ge

PSP ჯგუფი
ნაბიჯ-ნაბიჯ მხვეჯრველისკენ

საქართველოს ფარმაციის ლიდერი

პასუხს აგებს მის ქსელში არსებული მედიკამენტების ხარისხზე

## წამალი არსებობს მხოლოდ ერთი ხარისხის – უმაღლესი!

[illegible]

გარანტირებული ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირის არსებობის შემთხვევაში.

[illegible]

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სს "ლაჯანურჰესის" წყალსაცავის აკვატორიაში სოფელ უსახელოსთან ნაპირსამაგრი სამშენებლო სამუშაოთა შესასყიდად:

**- გაბიონების მოწყობა სოფელ უსახელოსთან სოფლის და ხიდის მარჯვენა ნაწილის დასაცავად;**
**- გაბიონების მოწყობა ცხენისწყლის გვირაბის გაგრძელებაზე, გამორეცხილი გზის აღდგენით;**
**- ხიდზე მისასვლელი და გასავლელი გზის აღდგენა.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ტენდერში დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში. ალტერნატიული წინადადებების მიღება გათვალისწინებული არ არის.

2. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 8 აგვისტოდან 11 აგვისტოს 17.00. სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-ნ ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

3.4 იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის:

ცნობა არანაკლებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების მოცულობის შესახებ; მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს დამკვეთი იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ.

4. ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია და შესაბამისი დანართი (ჩამონათვალი) საქართველოს სათანადო უწყებიდან.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 15 აგვისტოს 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

7. სატენდერო კომისიაში დასაშვებია ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას., ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

9. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით, ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

| შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|
| სატენდერო წინადადების ფასი | 0.40 |
| უკანასკნელი (არანაკლებ) სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების მოცულობა - კვალიფიკაცია | 0.20 |
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მოწყობილობა-დანადგარების სახე, აღწერილობა, მოდელი და ასაკი, საკუთარი ან იჯარით აღებული) | 0.15 |
| სამუშაოს შესრულების ვადები | 0.10 |
| ექსპლუატაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები ( ვადა, და ა.შ.) | 0.09 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები | 0.06 |
| | **სულ 1.0** |

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ი. მშვიდაობაძე. მისამართზე: ქ. თბილისი, ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი. მე-4 სართულიტელ: 99 60 98.

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

# განცხადება
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს 2005 წლისათვის სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა უნიფორმით უზრუნველყოფის მიზნით ზამთრის სპეცტანსაცმელის და ფეხსაცმელის შესყიდვაზე.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6.

4. ტენდერის შედეგად შესაყლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულ იქნება შემდეგი მექანიზმი: საბანკო გარანტია.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეებმა შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან, ორიგინალი და თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული სანოტარო წესით) მ.წ. 8 აგვისტოდან 9 აგვისტოს 1700 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

6.1. იურიდიული პირისათვის

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა დასრულდება მ.წ. 9 აგვისტოს.

10. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი.

11. სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება მ.წ. 15 აგვისტოდან 16 აგვისტოს 1700 საათამდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისიაში.

12. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ჭოროხის ქ. N6. ტ: 923321. საკონტაქტო პირი: დავით მეგრელიძე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით სატენდერო კომისია*



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# კვირის მოკლე მიმოხილვა გრძელი SMS-ების საშუალებით

## ახალი რესტორანი ჩვეული ვანდალიზმით?



საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქი, ულამაზესი მცხეთა უნიკალური ხუროთმოძღვრების ძეგლების პარალელურად ასევე უნიკალურად მახინჯი დუქან-რესტორნების ქალაქადაც რომ იქცა, ეს დიდი ხანია ცნობილია. სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე რაღაც გაუგებარი, საზოგადოებისთვის ბინდმოცული მშენებლობა რომ მიმდინარეობს, ამაზეც, მართალია უშედეგოდ, მაგრამ რამდენიმეჯერ საჯაროდ თქმულა. მაგრამ ამ კვირაში ტელევიზიით ნანახმა სიუჟეტმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ვანდალიზმმა, მშენებლობამანიამ, თავხედობამ იმ უკიდურეს ზღვარს გადააბიჯა, რომლის მერე ჯვრის უნიკალური ძეგლიც კი არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენს. დღევანდელი მცხეთის მდგომარეობას, იქ გახსნილი რესტორნების რაოდენობასა და ხარისხს თუ გადავხედავთ, სამწუხაროდ, უფლება გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ ჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე წამოწყებული დიდი მშენებლობა ადრე თუ გვიან ახალ რესტორანს შემოგვთავაზებს. იმედია, ახალგახსნილ რესტორანს "ჯვარს" მაინც დაარქმევენ და ჯვრის ფორმის მქონე რაიმე საფირმო კერძს მოიგონებენ, ამით კი თავის პატივისცემას გამოხატავენ ქართული კულტურისა და მისი ერთ-ერთი მთავარი შედევრის მიმართ.



## ჰაერში სროლა დასჯადი არ ყოფილა! არ ვიცოდით

სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული რთული ვითარება მთელი საქართველოს სატკივარია. გატაცებული ქართველების ჭირისუფალი არა მარტო მათი ოჯახის წევრები, არამედ მთელი საქართველოც არის. ბოლო ერთი თვის წინ გატაცებული ქართველების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას თითოეული ქართველი ელის. გატაცებულების ახლობლების, ნათესავების გულისწყრომას, გაღიზიანებას, ხელისუფლებისადმი პრეტენზიებს თითოეული ჩვენგანი იზიარებს. მაგრამ ამ კვირაში ერთ-ერთი გატაცებულის ძმის მიერ სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას მისამართით გაჟღერებულმა აშკარა, დაუფარავმა მუქარამ, ჰაერში გასროლილმა ტყვიებმა და ნულოვანმა რეაგირებამ, მართალი გითხრათ, გამაოგნა. საქართველოში რამდენი კრიმინალური საქმე ვერ გაიხსნება, დაზარალებულების ნათესავებმა შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით გასროლილი ტყვიებითა და სიკვდილით იმდენი რომ დაიმუქრონ, კარგად იქნება მაშინ ჩვენი და შინაგან საქმეთა მინისტრის საქმეც. თუმცა, არა მგონია, რომ მერაბიშვილი საკუთარი თავისადმი მუქარაზე ასევე არ რეაგირებდეს, ასეთივე მიმტევებელი იყოს, როგორც ხაჭაპურიძეების შემთხვევაში. ეტყობა, სახელმწიფო მინისტრის შუბლის ბედი, მის წინაალმდეგ გამოყენებული იარაღის კანონიერება მაინცდამაინც არ აწუხებს. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ ფაქტი სახეზეა. არადა, თუ ამგვარი ხელაღებულობა დაუსჯელი, შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩება, მაშინ რა გარანტია არსებობს, რომ დღეს სახელმწიფო მინისტრს, ხვალ შინაგან საქმეთა მინისტრს და ზეგ კი თვით პრეზიდენტს არ დაემუქროს და ზურგსუკან არ გაუსროლოს ვინმემ, ვინც მართლა გამწარებული, გაუბედურებული და ამისგან ყველა უფლებამიცემულია.

## ნარკოტიკის უდონო ჭა

ეს ფონიჭალა ნარკოტიკისა და ნარკობიზნესის ნამდვილი დაუშრეტელი წყარო ყოფილა! შეიძლება, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველ კვირას ნარკოვაჭრებს იჭერდნენ, იჭერდნენ და შედეგი კი არა და არ ჩანდეს?! ნარკოტიკების უდონო ჭა, დაუსრულებელი პროცესი უკვე სხვა ეჭვებს იწვევს. თუ ელემენტარულ სტატისტიკას მივმართავთ და დავითვლით, საქართველოში ან თუ გნებავთ კონკრეტულად თბილისში სავარაუდოდ რამდენი ნარკომანია და თითოეულ მათგანს დღიური ნორმის სახით ნარკოტიკის რა რაოდენობა ესაჭიროება, მაშინ, მერწმუნეთ, ძნელია იმის დაჯერება, რომ ამ ოდენობის ნარკოტიკის ქვეყანაში მიმოქცევა-შემოტანა შეუმჩნევლად შესაძლებელია და ამგვარ მასიურ პროცესში თვითონ ძალისმიერი სტრუქტურების თანამშრომლები არ არიან ჩართულნი. კონკრეტულად საიდანღაც ეს ნარკოტიკი ხომ შემოდის, საზღვარზე ხომ გადმოდის? კონკრეტულად ვიღაცა ამ მომწამვლელ საქონელს ხომ იბარებს და შემდგომ რეალიზაციისათვის ანაწილებს? კონკრეტულად ვიღაცა ხომ ყიდის, ვიღაცა ხომ ყიდულობს? მაშ რატომ არის გამორიცხული, რომ კონკრეტულად ვიღაცა ამაზე ან თვალებს ხუჭავდეს ან დაინტერესებული იყოს? კინოფილმები მაინც არ უნახავთ და არ იციან, რომ განსაკუთრებული მასშტაბის ნარკობიზნესი არც ერთ ქვეყანაში კონკრეტული სტრუქტურების, ხელგასვრილი ძალოვანების ხელშეწყობის გარეშე არ მიმდინარეობს?

## თავისუფლება თუ სისულელე?



მართალია, ამ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ საქართველოში პრესის, მედიის, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მიმდინარეობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ზოგჯერ არსებობს რაღაცა განსაკუთრებული ტიპის თავისუფალი სიტყვა, რომელიც, ყველასათვის უმჯობესია, თუ შეიზღუდება. რატომ ან ვისთვის გახდა თავისუფალი სიტყვა ელემენტარული სისულელის, არაპროფესიონალიზმის ტოლფასი? თუ კორესპონდენტი სხარტი გონებით არ გამოირჩევა, ისეთ შეკითხვებს სვამს, რომლებზეც პასუხი ან საერთოდ არ არსებობს, ან ცალსახაა, რადგან ჟურნალისტია და, შესაბამისად, ხელშეუხებელი, რაც უნდა ის იკითხოს, რაც მოუნდება ის ილაპარაკოს?

სვანეთში ამ კვირაში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის დროს სამი ქართველი მთამსვლელიდან ორი დაიღუპა. მესამე, მართალია, საბედნიეროდ, გადარჩა, მაგრამ ოთხი დღის განმავლობაში 4000 მეტრის სიმაღლეზე ორი უახლოესი მეგობრის გვამთან სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე შველას ელოდა. ნუთუ პირველივე შეკითხვა, რომელიც სიკვდილის პირისპირ მყოფ ადამიანს ჟურნალისტმა უნდა დაუსვას - "როგორ ხართ" არის? საინტერესოა, ამ შემთხვევაში კორესპონდენტი რა პასუხს ელის, ალბათ, "გმადლობთ, კარგად"; ჩემი აზრით, ამგვარ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს - "თქვენ იდიოტი ხართ!" ეტყობა, ქართულ ტელევიზიაში სხარტი გონების ჟურნალისტები საგანგაშოდ მომრავლდნენ და ბეწვზე გადარჩენილი მთამსვლელი მათი მსხვერპლი აღმოჩნდა. სხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტმა კი ვერაფერი უკეთესი ვერ მოიფიქრა და ალპინისტის ნათქვამს - "ფიზიკურად ნორმალურად ვარ" - მომენტალურად ღრმა შინაარსის მქონე შეკითხვა - "და ფსიქოლოგიურად?" - დაახვედრა. არ ვიცი, ჟურნალისტი რას ელოდა პასუხად, ალბათ, მდგომარეობის ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, მაგრამ მე პირადად რომ კვლავ მხოლოდ ერთი პასუხი მეგულება, კი ვიცი. მგონია, რომ ამგვარი ჟურნალისტების სიტყვის თავისუფლება ცოტა თუ შეიზღუდება, ყველასათვის უკეთესი იქნება. აღარც რესპონდენტი შეწუხდება, არც მაყურებელს აუშლიან ნერვებს და არც ტელეკომპანიებსა და საკუთარ თავს წარაჩენენ უსუსურ მდგომარეობაში.

## Муж и жена - одна Сатана!

Три девицы под окном
Пряли пряжу вечерком.
Кобы я была царица -
Говорит одна девица,
Я б для батюшки царя,
Грантик получив с полна,
Два советикаб дала.

გრანტი კარგია, მაგრამ გრანტსაც გააჩნია! თუ ეს გრანტი, არც მეტი არც ნაკლები, 1 900 000 ევროს ტოლფასია და იმისთვის არის მიმართული, რომ ვიღაცის ცოლმა ან დედამ საკუთარ ქმარსა თუ შვილს რჩევები მისცეს; თუ ესოდენ ძვირადღირებული მრჩევლები ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ოჯახის წევრები არიან; თუ 1 900 000 ევროდ რჩევებს საკუთარი ცოლებისგან საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ელის, მაშინ ეს სიტუაცია ან ცინიკურ-გროტესკულ, ან კრიმინალურ ელფერს იძენს.

რამდენადაც ვიცი, ცოლები ქმრებს და პირიქით, ქმრები ცოლებს ცხოვრებისეულ რჩევებს მუდამ აძლევენ, მაგრამ არასდროს მსმენია, რომ ამგვარი რჩევები ასე ძვირად ფასობდეს. რა დასანანია, ოცი წლის გათხოვილი ვარ და რამდენი გრანტი შემეძლო ამეღო! თუმცა, რა სულელი ვარ. მე გრანტს ვინ მომცემდა! ჩემი ქმარი ხომ პრემიერ-მინისტრი არასდროს ყოფილა. დედის ინსტიტუტი საქართველოში განსაკუთრებულად რომ არის განვითარებული და უმეტეს ქართველ დედებს ნებისმიერ ასაკში, თანამდებობაზე მყოფი შვილი მუდამ ბავშვი ჰგონიათ, რომელიც რჩევებსა და დარიგებებს საჭიროებს, ესეც ვიცით. მაგრამ დედობრივი რჩევა თუ ასეთი ფასი ღირდა, ეს არავის გაუგია. კარგი წარმოდგენისა უნდა იყოს დედა საკუთარი შვილის გონებრივ მონაცემებზე, რომ მის დაკვალიანებაში 1 900 000 ევროს ითხოვდეს!

## დანიშვნამდე აუცილებელი ტესტი

ამ კვირაში ბათუმში, საქართველოს ყველა რეგიონის რწმუნებულთან პრეზიდენტის შეხვედრას, მე თვითონაც ვერაფრით მივხვდი, რატომ, მაგრამ პრეზიდენტზე არანაკლებად ყურადღებით ვუსმენდი. როდის იყო, რომ გამგებლების, გუბერნატორების საანგარიშო სიტყვებს ვუსმენდი ან მაინტერესებდა ხოლმე? უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირველად ჩემს ცხოვრებაში, გარდა იმისა, რომ თითქმის თავიდან ბოლომდე მოვისმინე, გავუძელი. თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარზე მეტს დავუჯერე კიდეც! უბრალოდ, როგორც ამ საანგარიშო შეხვედრის ერთ-ერთი მაყურებელი, ვისურვებდი, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ახლა უკვე ყოფილ რწმუნებულს სანამ სადმე ახალ, მაღალ თანამდებობას შესთავაზებენ, ერთი რომელიმე ყველაზე მარტივი უნარჩვევების ტესტი შეავსებინონ. საინტერესოა, რამდენ ქულას დააგროვებს!

## ერთი მუხლიც დაუმატეთ!

ამ კვირის მთავარ მოვლენად, ალბათ, თავისუფლების მოედანზე ბუშის ვიზიტისას ხელყუმბარის მსროლელის დაკავება უნდა ჩაითვალოს. როდესაც აყვანის ოპერაცია დაიწყო და დამნაშავე სადღაც ბაღებში მიიმალა, მაპატიეთ, მაგრამ მეგონა, რომ ვეღარ იპოვნიდნენ. არ შემიძლია ჩემი სიამაყე არ აღვნიშნო და პატივისცემა არ გამოვუხატო ამ ოპერაციაში მონაწილე თითოეულ პროფესიონალს. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ იმ განსაკუთრებულ ძალისხმევას, მონდომებას, მობილიზებულობასა და თავდადებას, რომელიც იმ საღამოს ვაშლიჯვრის ერთ-ერთ კორპუსთან საუფევდა, ტელეეკრანიდანაც კი ვგრძნობდი. შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა საგანგებო ბრიფინგმაც სასიამოვნოდ გამაკვირვა. ეტყობა, მერაბიშვილმა წარსულის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, თითოეული სიტყვა აწონა, ზუსტი მნიშვნელობა მიანიჭა. არც მეტი თქვა და არც ნაკლები. თქვა ის, რაც იმ წუთას უნდა ეთქვა. მოკლედ, ამჯერად ჩვენი ძალოვანებით მართლაც რომ ამაყი ვარ. კანონმდებლობაში ნამდვილად არ ვერკვევი. არც ის ვიცი, არუთინიანს რა მუხლი ეკუთვნის, მაგრამ ერთი კი ზუსტად ვიცი, რომ ტერორიზმის, პოლიციელის მკვლელობის და სხვა უმძიმესი დანაშაულების პარალელურად 2005 წლის 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მან სამშობლოს უღალატა!

## გამოცდები დასრულდა!



მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმას, განათლების სამინისტროს მთელ გუნდს, პირადად მინისტრს პირველივე დღიდან ვგულშემატკივრობდი და წამოწყებული დიდი საქმის სისწორეში ეჭვი არასდროს მეპარებოდა, ეროვნული გამოცდების ჩატარების ორგანიზებულობამ, შედეგებმა ჩემს მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ამდენი წინააღმდეგობა, დაბრკოლება მგონი არც ერთ სიახლეს არ მოჰყოლია. ამდენი კამათი, დაპირისპირება, ანტაგონიზმი არაფერს გამოუწვევია. და მიუხედავად ყველაფრისა, რეფორმა ამუშავდა, გამოცდები ბრწყინვალედ, ყოველგვარი სერიოზული ხარვეზების გარეშე ჩატარდა და წელს უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილ თითოეულ აბიტურიენტს საკუთარი ცოდნით დაკვეხნის უნიკალური უფლება მიეცა.

მთელ საქართველოს, ყველა აბიტურიენტს, მათ მშობლებს, პირადად მინისტრს, ყველა მის თანაგუნდელს მინდა გულწრფელად მივულოცო ის დიდი წარმატება, რომელსაც პირველი ეროვნული გამოცდები ჰქვია.

## წელს მაინც დავისვენოთ!

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას, ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდში აჭარაში პოლიციელთა რაოდენობის გაზრდაზე, სავსებით ვეთანხმები. ეგება გვეშველოს და ეს პირველი, მაგრამ არაუკანასკნელი წელი იყოს, როდესაც ზღვაზე მშვიდად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე დავისვენებთ. როგორც აჭარაში, კონკრეტულად კი სოფელ გონიოში წლების გამოცდილების მქონე დამსვენებელი, პოლიციას ვურჩევდი, რომ მაქსიმალური ძალები კვარიათი-გონიო-სარფისკენ გადაისროლონ (განსაკუთრებით, კვარიათში), სადაც ამ ბოლო წლებში არც ერთ საზაფხულო სეზონს ისე არ ჩაუვლია, ყოველ საღამოს ჩხუბი რომ არ ყოფილიყო, ერთი-ორი ადამიანი მძიმედ და ზოგჯერ სასიკვდილოდაც არ დაჭრილიყო და ტოტალურად ყველა დამსვენებელი არ გაქურდულიყო. ეტყობა მართალია, როდესაც ამბობენ, რომ აგვისტოში აჭარაში მთელი საქართველოს მასშტაბით მომპარავები მივლინებით მოდიან. ჩხუბებსა და დაჭრებს კი მთელ სანაპირო ზოლზე უსისტემოდ ყოველ ნაბიჯზე გახსნილი კაფე-ბუნგალოები და მათში გაყიდული ფალსიფიცირებული, მომწამვლელი ალკოჰოლი იწვევს. იმედი მინდა ვიქონიო, რომ გაძლიერებული პოლიციური კონტროლის პირობებში მშვიდად დასვენების საშუალება წელს მაინც მოგვეცემა.

# French Embassy in Georgia
# CALL FOR TENDER

In the framework of the establishment of an internal communication network at the Ministry of Foreign Affairs of Georgia, financed by the French Government, the French Embassy in Georgia hereby launches a tender to select a company for the laying down of cabling. This task consists of the cabling itself, the testing of existing and deployed cables and the supply of accessories, as described in the following pages.

All interested companies should hand over their proposal by **Thursday, August 4th at 12.00** to the French Embassy, (15, Gogebashvili Street, 99 99 76). No proposal will be accepted after this deadline. The proposals should be written in English and provided with on a floppy disk in a sealed envelop.

A visit of the buildings to be cabled at the Ministry of Foreign Affairs (4, Chitadze str., tel. 28-47-23) shall be organised on Tuesday, July 26th at 3.00 pm. You will be provided with additional relevant information related to the aforementioned task.

After collecting all the proposals, a joint team, composed of representatives of the French Embassy, the Ministry of Foreign Affairs of Georgia and AMEC-SPIE, the French company selected to carry out the project after the cabling is done, will open the envelops and send the proposals to AMEC-SPIE in Paris, which will select the most suitable one on Friday, August 5th.

The chosen company shall be informed of the selection procedure on Friday, August 5th in the afternoon and shall be charged with starting the work as soon as Monday, August 8th. It shall carry out the work until Friday, August 12th in the afternoon. An extended period of time might be envisaged upon request by the chosen company. It shall be paid once the task is accomplished.

Interested bidders may obtain further information at the following address :

Contact Person : Vincent LERIDEZ
Name of Office : French Embassy
Address : Gogebashvili Str. No. 5, Tbilisi
Telephone : 98 78 23, 99 99 76
E-Mail : vincent.leridez@diplomatie.gouv.fr

ჰოკეი

# NHL-ში ლოკაუტი დამთავრდა!

გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც შიდა დავა-კამათის გამო ჩრდილო ამერიკის პროფესიული ლიგის ისტორიაში პირველად დაიკარგა მთელი სეზონი, კლუბის მეპატრონეებმა და პროფკავშირებმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს შეემუშავებინათ ურთიერთხელსაყრელი პირობები. მიმომხილველთა უმრავლესობის შეფასებით, ახალი შეთანხმება ჰოკეისტებისთვის აშკარად უარესია იმაზე, რისი მიღწევაც შარშანვე შეეძლოთ. ტორონტოში კენჭი უყარეს ექვსწლიანი შეთანხმების რატიფიკაციას. გუშინ NHL-ის მოთამაშეებმა მიაღწიეს კოლექტიურ შეთანხმებას და წერტილი დაუსვეს სამას დღეზე მეტ ხანს გაწელილ ლოკაუტს!*



*ისეთი პირი უჩანს, ჩემპიონატი მალე დაიწყება.*

ხუთშაბათს ჰოკეის ეროვნული ლიგის (NHL) მოთამაშეებმა კენჭისყრის შედეგად მწვანე შუქი აუნთეს მათთვის გასულ კვირას შეთავაზებულ შრომით შეთანხმებას. კენჭისყრის დასრულებისთანავე NHL-ის ჰოკეისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბობ გუდენაუმ განაცხადა, რომ მტკიცედ დგანან ახალი შეთანხმების პირობებზე და ჰოკეისტთა თითქმის 90 პროცენტმა (ტორონტოში მოწყობილ თავყრილობას 230 ჰოკეისტი ესწრებოდა.-რედ.) მხარი დაუჭირა ექვსწლიან შეთანხმებას. თუ გუდენაუს დავუჯერებთ, 90-პროცენტიანი მხარდაჭერა ლიგის კომისრის გერი ბეტმენის დიდი გამარჯვებაა, რომელიც ჰოკეისტებთან მიღწეული შეთანხმებით გამოწვეულ სიხარულს არ ფარავდა.

"კენჭისყრის წარმატებაში დარწმუნებული ვიყავი. ახლა ყველა ერთად ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თამაში ყინულს, ხოლო NHL-ს პრესტიჟი დავუბრუნოთ", - კმაყოფილი ჩანდა ბეტმენი.

ჰოკეისტებთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ ჯერი მიდგა NHL-ის ლიგის მმართველთა საბჭოზე (მმართველთა საბჭოში ლიგის ოცდაათივე კლუბის მეპატრონე შედის.-რედ.), რომელმაც გუშინ იგივე გააკეთა ნიუ იორკში.

ერთი სიტყვით, ჰოკეის ეროვნულ ლიგას დიდი ჰოკეი უბრუნდება.

მართალია, ახალი შეთანხმების პირობები დაწვრილებით არ არის ცნობილი, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, თითოეული გუნდისთვის შემოღებული სახელფასო ზედა ზღვარი 39 მილიონ დოლარს შეადგენს.

ამ გაჭიანურებული პროცესის დამთავრების შემდეგ მოგებულ მხარედ კლუბის მეპატრონეები მოგვევლინენ, რადგან ახალი შეთანხმების მიხედვით მოთამაშეებზე მეტად მათი ინტერესები უფრო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, თითქმის არც ერთ ენჰაელელს არ განუცხადებია უარი, ხელი მოეწერა მათთვის შეთავაზებული პირობებისთვის.

ლოკაუტი ფაქტობრივად დასრულებულია. ექვს წელიწადზე გათვლილი შეთანხმება გუშინვე შევიდა ძალაში. თუმცა, ლიგის მმართველთა გუშინდელი თავყრილობა და საბოლოო შეთანხმებაზე ხელმოწერა და, საერთოდ, მთელი ეს პროცედურა წმინდა წყლის ფორმალობა იყო.

შეთანხმებაზე ხელმოწერიდან სამ საათში გაიმართა დრაფტ-ლატარია, რომელსაც უნდა განესაზღვრა გუნდების მიერ მოთამაშეთა არჩევის თანმიმდევრობა, რომელიც აქამდე ლოკაუტის გამო იყო შეჩერებული.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ატარებს ღია ტენდერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე(ორმოული) შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

შესაკეთებელი ასფალტ-ბეტონის საფარიანი ქუჩების და მოედნების საერთო ფართობია - 8500 კვ.მ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 10 ნოემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 08 აგვისტოს 10 საათიდან 10 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

გ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

დ) ლიცენზიას საგზაო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 15 აგვისტოს 10 საათიდან 17 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

მაია გოგოლაძე - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების
მთ.სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი,
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი 95.99.85; 95.49.60.
თემური ოქრომელიძე - საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების
წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის
შემსრულებელი,
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,
საკონტაქტო ტელეფონი 95.66.01.

მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 140ა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

# ანგარიში
# ტენდერის განხორციელების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ "ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის" 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვები, კერძოდ:

"ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დაავადებათა აქტიური გამოვლენის და სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის" პროგრამის ფარგლებში 2005 წლის 20 მარტს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოცხადდა ღია ორეტაპიანი ტენდერი ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე:

**ლოტი 1.** *ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ეფექტურობის თვალსაზრისით ეპიდზედამხედველობითი, მეთოდურ-პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, ნარკომანიის წინააღმდეგ მოსახლეობისა და მიზნობრივი ჯგუფის ინფორმირების მიზნით საინფორმაციო მასალების შემუშავება;*

**ლოტი 2.** *იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევათა გამოვლენა (რეგიონული დონე - ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი); ეპიდზედამხედველობის სისტემის ფუნქციონირება;*

**ლოტი 3.** *სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა სტანდარტული დიაგნოსტიკა;*

**ლოტი 4.** *სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა;*

**ლოტი 5.** *აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფების პირთა ნებაყოფლობითი ტესტირება და კონსულტირება (სტანდარტული დაიგნოსტიკა);*

**ლოტი 6.** *აივ ინფექცია/შიდსზე ეპიდზედამხედველობის ორგანიზაცია, განხორციელება (ეპიდკერის კვლევა, ეპიდსიტუაციის შეფასება) და პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა (მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, ტრეინინგები, შიდსის სადიაგნოსტიკო ლაბორატორიების მუშაობის ხელშეწყობა, მონიტორინგი), საორგანიზაციო-მეთოდური საქმიანობა;*

**ლოტი 7.** *მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების უსაფრთხო სისხლით უზრუნველყოფის მიზნით ეპიდზედემხედველობა და პროგრამის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდურ-პრაქტიკული სამუშაოების წარმოება;*

**ლოტი 8.** *დონორთა სისხლის სტანდარტული დიაგნოსტიკა;*

**ლოტი 9.** *დონორთა საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების ხელშეწყობა.*

სატენდერო პროცედურების წარმართვის შედეგად საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად ცნობილ იქნენ შემდეგი დაწესებულებები, რომლებთანაც 2005 წლის 1 ივნისს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები:

**ლოტი 1.** ს.ს. "ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 31 821 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 6 472 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 2.** შ.პ.ს "ნუტრიციოლოგიის ეროვნულ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 29914 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 4990 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 3**. ს.ს. "კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 89566 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 12229 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 4.** ს.ს. "კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 43934 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 5104 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 5.** ს.ს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 111760 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 16708 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 6.** ს.ს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 45165 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 7542 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 7.** ს.ს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 12 000 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 1416 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 8.** ს.ს. "სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 383 004 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 54250 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ლოტი 9**. ს.ს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან", რომლის გასაწევი მომსახურებიის ღირებულებაა 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე 10 000 ლარი. დეკემბრის თვის გასაწევი მომსახურების ღირებულებაა არაუმეტეს 1660 ლარისა, რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- "ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დაავადებათა აქტიური გამოვლენის და სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის" პროგრამის ფარგლებში 2005 წლის 22 მარტს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოცხადდა ღია ტენდერი შემდეგი სახის საქონლის შესყისდვაზე:

ლოტი N1. სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები (აივ ინფექცია/შიდსის, B და C ჰეპატიტის, ათაშანგისა და ალანინამინოტრანსფერაზას დიაგნოსტირება);

ლოტი N2 სამკურნალწამლო საშუალებები.

სატენდერო პროცედურების წარმართვის შედეგად საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად ცნობილ იქნენ შემდეგი დაწესებულებები, რომლებთანაც 2005 წლის 24 და 28 აპრილს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები:

**შ.პ.ს. "ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"**:

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 8 835 ლარს (9, 10, 11 პოზიცია);

**შ.პ.ს. "ირისე":**

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1 680 ლარს (5 პოზიცია);

**შ.პ.ს "ოჯახის ექიმი":**

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 22 525.9 ლარს (1, 12, 15 პოზიცია);

**შ.პ.ს "GPC":**

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 22 549.7 ლარს (4, 6 პოზიცია).

ლოტი 2 - სამკურნალწამლო საშუალებები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 30 946.46 ლარს.

"ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დაავადებათა აქტიური გამოვლენის და სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის" პროგრამის ფარგლებში 2005 წლის 14 მაისს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოცხადდა განმეორებით ღია ტენდერი შემდეგი სახის საქონლის შესყისდვაზე:

ლოტი 1. სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები (აივ ინფექცია/შიდსის, C ჰეპატიტის).

სატენდერო პროცედურების წარმართვის შედეგად საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად ცნობილ იქნენ შემდეგი დაწესებულებები, რომლებთანაც 2005 წლის 7 ივნისს გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები:

**შ.პ.ს. "ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"**:

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 5 222.4 ლარს;

**შ.პ.ს "GPC":**

ლოტი 1 - სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემები, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 54 394.2 ლარს.

# პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
# საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

# აცხადებს კონკურსს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე". პროექტის განხორციელებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრს აუცილებლად მიაჩნია სპეციალისტის დაქირავება და მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**შესყიდვების სპეციალისტი**

შესყიდვების სპეციალიტი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების წარმოება მსოფლიო ბანკის და თანადამფინანსებლების მიერ დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად. შესყიდვების სპეციალისტი პასუხისმგებელია სამუშაოების და საქონლის შესყიდვების წარმოებაზე:

**შესყიდვების სპეციალისტი ვალდებულია:**

- მოამზადოს და სისტემატურად განაახლოს შესყიდვების გეგმა, რაც მოიცავს შესასყიდი ან პროექტის ფარგლებში შერჩეული საქონლის, სამუშაოების და მომსახურების ჩამონათვალს და დროის განრიგს;
- განახორციელოს ყველა საჭირო ზომა საქონლისა და სამუშაოების თითოეული შესყიდვის ქმედებათა განხორციელების დაგეგმარებისათვის;
- შეადგინოს შესყიდვების დოკუმენტაცია (რეკლამები, სატენდერო დოკუმენტები, შეფასების ანგარიშები, კონტრაქტები და შესაბამისი კორესპონდენცია);
- მონაწილეობა მიიღოს ეროვნული და საერთაშორისო შესყიდვების მთელს პროცესში (ქმედებების დაგეგმარებიდან კონტრაქტების გაფორმების სტადიის დასრულებამდე);
- მონაწილეობა მიიღოს ტექნიკური მახასიათებლების მომზადებაში და/ან იმის უზრუნველყოფა, რომ ტექნიკური მახასიათებლები მომზადებულია ისეთი მეთოდით რომელიც განაპირობებს სამართლიან და ეფექტურ კონკურენციას;
- მსოფლიო ბანკის შესყიდვების სფეროში დასაქმებულ პერსონალთან თანამშრომლობა;
- შეამოწმოს, რომ შესყიდვების პროცედურები მკაცრ თანხმობაში მოდის მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებთან და საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის დადებულ საერთაშორისო საკრედიტო ხელშეკრულებასთან;
- საქონელსა და სამუშაოებზე ხელშეკრულებების განხორციელების შემოწმება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფინანსური მართვის სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღოს გადახდების განრიგების და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მექანიზმების შედგენაში და რომ ფინანსური მართვის სპეციალისტი დროულად იღებდეს ინფორმაციას ხელშეკრულებების შესახებ;
- დახმარება გაუწიოს დანიშნულ თანამშრომლებს საქონლისა და სამუშაოების შემოწმებასა და მიღებაში;
- რეგულარულად მოამზადოს განახლებული ანგარიშები შესყიდვების შესაბამისი აქტივობის შესახებ, რომლებიც განხორციელებულია ან განხორციელდება განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ;

წარმოადგინოს ანგარიში და რჩევები ხელშეკრულებების შეუსაბამობის შემთხვევაში;

- აწარმოოს შესყიდვების სრული ჩანაწერები და შეინახოს დოკუმენტები განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში, რაც ითვალისწინებს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვების ზოგადი და კონკრეტული რეკლამების განთავსების შედეგად ყველა დაინტერესებული ფირმისა და ინდივიდუალური პირის რეესტრს;
- განუმარტოს პროექტის სხვა შესაბამის თანამშრომლებს შესყიდვების პროცედურების შესახებ, თუ როგორ დაგეგმონ დროში შესაბამისი ქმედებების განხორციელება, ქმედებათა სტატუსი და სხვა;
- ითანამშრომლოს ფინანსურ სპეციალისტთან პროექტის თანხების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

შესაბამის სფეროში (შესყიდვები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა) მუშაობის მინიმუმ ორი წლის გამოცდილება;

- ადგილობრივი და/ან საერთაშორისო შესყიდვების გამოცდილება (სატენდერო პროცედურები, ხელშეკრულებების დადება, საქონლის იმპორტირება);
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერის ცოდნა;
- კომუნიკაბელურობა;
- რამოდენიმე ამოცანის ერთდროული კოორდინაციისა და გადაჭრის უნარი;
- გუნდურ გარემოში მუშაობის უნარი.

**საანგარიშო ვალდებულებანი:**

შესყიდვების სპეციალისტი ანგარიშვალდებული იქნება განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

**აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

**www.reform.edu.ge**
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა
ვაკანსიები

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 29 ივლისი.**

ლაშა ბუღაძის სვეტი

## ახალი მერის განკარგულებანი



№1

ფასადები, რომლებიც ძველი მერის დროს იქნა შეღებილი, გადაფხეკილ იქნეს და თბილისს კვლავ დაუბრუნდეს ე.წ. "შეშინებული თაგვის ფერი".

№2

გაუქმდეს საკვირაო სეირნობა რუსთაველზე - "სახალხო სეირნობა" გაიმართოს იმ ქუჩაზე, რომელზეც თბილისის ყოფილი მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ცხოვრობს. სასურველია, რომ ამ ქუჩაზე ხალხმა მთელი ღამის განმავლობაში დილამდე აქტიურად ისეირნოს.

№3

განადგურდეს ფილარმონიის შენობა და თბილისურ სამკუთხედს თბილისური მართკუთხედის სახე მიეცეს.

№4

ვაკის რაიონში, ბერძენიშვილის ქუჩის პარალელურ ქუჩას ეწოდოს დეპუტატ გიგა ბოკერიას სახელი და ამიერიდან ხალხში იწოდებოდეს ასე: "ბოკერიას ჩიხი".

№5

"მრგვალ ბაღში" რაფიელ ერისთავის ბიუსტის პირდაპირ დაიდგას გმირ-დეპუტატ დავით კირკიტაძის ბიუსტი, თანაც ისე, რომ დეპუტატისა და პოეტის ბიუსტები თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს.

№6

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ეწოდოს "მაია ნადირაძის ხეივანი".

№7

აბანოთუბანში დაიდგას რამდენიმე მცირე ზომის შადრევნული შესაძლებლობების მქონე ქანდაკება, სახელწოდებით "მოცეკვავე პრეზიდენტები" - ქანდაკება №1: "ბუშის თეძოები", და ქანდაკება №2 "გოლიათი და პიონერი გოგონა" (ვგულისხმობთ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხელში აყვანილ მოცეკვავე ნ. სუხიშვილს) - ეს ქანდაკება გურჯაანულ "ჯარისკაცის მამის" ერთგვარ ალეგორიას უნდა წარმოადგენდეს.

№8

კანცელარიის შენობა გადაეცეს სამეგრელოს ყოფილ რწმუნებულ კახა არდიას - როგორც მოეხასიათება, ისე მოიხმაროს.

№9

თავისუფლების მოედანზე, მერიის წინ, დაიდგას ბილბორდი წარწერით: "ენა, გუგავა, სარწმუნოება".

№10

ახალი წლის ღამეს, ასევე თავისუფლების მოედანზე, გაიმართოს დოღი ან ხარების ბრძოლა - შარშანდელ კორდებალეტს ხო მაინც სჯობია!

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის
# განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული კომპიუტერული, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო ტექნიკისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად სებ-ის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ადგილობრივი მოწოდების პირობით.

| ლოტის N | N | დასახელება | საჭიროული რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | USB flash 1 Gb | 20 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.2 | USB flash 512 Mb | 37 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.3 | USB flash 256 Mb | 15 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.4 | flash 1 Gb SD Card | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1,5 | Canon G5-ის მეხსიერება 1 Gb | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.6 | აკუმულატორი IBM Think Pad T22 | 5 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.7 | აკუმულატორი IBM Think Pad X23 | 3 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.8 | აკუმულატორი IBM Think Pad A31P | 3 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.9 | მეხსიერება Netvista 512 Mb DDR | 30 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.10 | მეხსიერება ThinkPAD 512 Mb | 6 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.11 | მეხსიერება Netvista 512 Mb SDRAM | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 1.12 | მეხსიერება HP dx6100 512 Mb DDR | 12 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| 2. | 2.1 | ვინჩესტერი 40 Gb (7200 rpm, ATA-100) | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.2 | ვინჩესტერი 80 Gb | 20 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.3 | დისკეტები 1.44 Mb | 15 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.4 | მოწყობილობა CD-ROM 52 Sp | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.5 | სვიჩის ადაპტორი 12v | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.6 | ვიდეოადაპტერი TV-ტიუნერით | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.7 | ვიდეოადაპტერი 256 Mb AGP | 5 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.8 | ვიდეოადაპტერი 128 Mb AGP | 15 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.9 | აკუმულატორი UPS 12Vx12A | 30 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.10 | აკუმულატორი UPS 12Vx7A | 20 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.11 | აკუმულატორი UPS 6Vx11A | 20 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.12 | ქსელის ბარათი 10/100 | 15 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.13 | კვების ბლოკი ATX | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.14 | UPS-ის კვების კაბელი | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.15 | კვების კაბელი | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.16 | კაბელი USB | 100 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.17 | ინტერფეისული კაბელი [illegible] | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.18 | ინტერფეისული კაბელი [illegible] | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.19 | აქტიური დინამიკი | 20 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.20 | [illegible] | 50 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.21 | პრინტერის DFX-8500 თავაკი | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.22 | პრინტერის DFX-8000 თავაკი | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.23 | თერმოფირი Canon 780 | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.24 | თერმოფირი HP1200 | 4 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.25 | თერმოფირი HP LJ 5L/6L | 4 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.26 | თერმოფირი HP LJ 5P/6P | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.27 | თერმოკვანძი HP1200 | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.28 | თერმოკვანძი HP LJ 5L/6L | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.29 | თერმოკვანძი HP LJ 5P/6P | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.30 | ქსეროქსის Canon 6216/6416 ტეფლონის ლილვი | 4 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.31 | ქსეროქსის Canon 6216/6416 [illegible] ლილვი | 6 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.32 | ქსეროქსის Canon 6216/6416 რეზინის ლილვი | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.33 | ქსეროქსის Canon 6216/6416 [illegible] | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.34 | ქსეროქსის Canon 6216/6416 [illegible] | 6 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.35 | ქსეროქსის Canon 6216/6416 [illegible] | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.36 | ქსეროქსის Canon 6216/6416 [illegible] | 1 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.37 | ქსეროქსის Canon7161 ტეფლონის ლილვი | 4 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.38 | [illegible] 20m | 2 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.39 | [illegible] HP LJ 5L/6L | 5 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.40 | [illegible] HP LJ 1100 | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.41 | [illegible] HP LJ 1200 | 10 | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.42 | დამცველი 0,5A,2A,3A,5A | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.43 | ტრანზისტორი 471U5K;471U7K;471U10;K471U14K; 471U20K;151U7K | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.44 | დაბალი სიხშირის ტრანზისტორი | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.45 | მაღალი სიხშირის ტრანზისტორი | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.46 | დაბალი სიხშირის დიოდი | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.47 | მაღალი სიხშირის დიოდი | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.48 | დიოდის ხიდი 2A;3A;6A;10A | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.49 | რეზისტორი (0,33;0,68)2w | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.50 | რეზისტორი (0,22;0,47)5w | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.51 | მიკროსქემები | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.52 | კონდენსატორები 220 MkFx400v;470MkFx400v | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |
| | 2.53 | კონდენსატორები 220 MkFx200v;68 MkFx400v | მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი. ლეონიძის ქ. 3/5. |

გამარჯვებული შესაძლებელია გამოვლინდეს ლოტების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა (ვადაში ჩაითვლება განცხადების გამოქვეყნების თარიღი), სებ-ის კანცელარიაში 18.00-სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 44-24-02, შიდა ტელ. 4-02.

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა)მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

პრეტენდენტი ფიზიური პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა)ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ბ)მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, (ცნობა სასამართლოდან);

ტენდერში მონაწილე როგორც იურიდიულმა ისე ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ლიცენზია (პირველ ლოტში) იმის შესახებ, რომ კომპანია არის მსოფლიო ბაზარზე აღიარებული “BREND”-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში ასევე სერვის მომსახურებაზე;

ბ)რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ)წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს საქართველოს ეროვნული ბანკში, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N202; ტელ: 44-24-02, შიდა ტელ: 4-02;

9. ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე (www.nbg.gov.ge).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

# დეკლარაცია ოკუპირებული ტერიტორიებისთვის




ქალაქ სტამბულში 3-დან 8 ივლისამდე ჩატარდა არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის 22-ე კონგრესი და 23-ე ასამბლეა; საერთაშორისო კავშირის ოფიციალურ წევრ 111 ქვეყანას შორის ერთ-ერთი საქართველოცაა.

ასამბლეა, რომელიც მსოფლიოს მილიონნახევარ არქიტექტორს აერთიანებს, სამ წელიწადში ერთხელ იმართება. მორიგი ასამბლეა იტალიის ქალაქ ტურინში გაიმართება. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ამ ორგანიზაციის წევრია 1996 წლიდან.

საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირი - UIA იყოფა ხუთ რეგიონად. 27 ქვეყანასთან ერთად საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს ეკუთვნის.

საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს მხრიდან მონაწილეობდა 87 სტუდენტი სამხატვრო აკადემიიდან და პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან, აგრეთვე შვიდი არქიტექტორი არქიტექტორთა კავშირიდან, მათ შორის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე, მოადგილე ლევან ბერიძე, კავშირის გამგეობის წევრები: გიორგი შაიშმელაშვილი, რეზო ავალიშვილი, პავლე ძინძიბაძე, ვახტანგ დავითაია და ავთანდილ სუმბულაშვილი.

კონგრესის ფორმატში ჩატარდა სხვადასხვა თემატური გამოფენა, უახლოესი წლები მსოფლიო მშენებლობების, სტუდენტური ნამუშევრებისა და კულტურული მემკვიდრეობის თემაზე.

კონგრესი იმით იყო აღსანიშნავი, რომ მასზე მიღებულ იქნა საერთაშორისო დეკლარაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არქიტექტურული საქმიანობის შეზღუდვის შესახებ, რათა დაცული იყოს ამ ტერიტორიებზე კულტურული ძეგლები.

კონკრეტულად ქართული მხარის წინადადებით, ამ კონგრესის ფორმატში გაკეთებულ იქნა ეროვნული მოხსენება, რომელიც ეხებოდა საქართველოში არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი კრიზისის დაძლევის გზებს.

მოხსენებამ მხარდაჭერა მიიღო და იქვე გადაწყდა, ამ პრობლემატიკაზე შექმნილიყო საერთაშორისო კომისია მისი დარეგულირების მიზნით.

კომისიის პირველი კონფერენცია გაიმართება თბილისში 10-დან 15 ოქტომბრამდე.

# ხელოვნება მიწისქვეშ

მაშინ, როდესაც ტერორისტები მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქების მეტროსადგურების "ათვისებას" ცდილობენ, თბილისში მეტროპოლიტენის სივრცის გამოყენება ქართველმა ხელოვანებმა მოინდომეს.

დღეს თბილისის მეტროპოლიტენის ყველა სადგურში დილის 12 საათიდან მრავალფეროვანი, საინტერესო კულტურული ღონისძიებებია დაგეგმილი.

12-დან 17 საათამდე ყველა სადგურში წარმოდგენილი იქნება ალტერნატიული ხელოვნება, სლაიდ-შოუები, ვიდეოინსტალაციები, ფოტოგამოფენები, მხატვრული და ანიმაციური ფილმების ჩვენება. ღამის 12 საათზე კი მეტროს სადგურში "თავისუფლების მოედანი" ფესტივალი "არტ-ანდერგრაუნდი ტერორიზმის წინააღმდეგ" ოფიციალურად ლიკა ალადაშვილის მოდების ჩვენებით (სახელწოდებით "მე შემიძლია გავიარო ჩემს ქალაქში ფეხშიშველა და არ მეშინოდეს") დაიხურება; გაიმართება ტამ-ტამ შოუ და ანსამბლ "ქართული ხმების" კონცერტი.

"ჩვენებაზე ლიკა ალადაშვილი ბოშურ კოლექციას და სექსუალური ელემენტებით დატვირთულ სამოსს წარმოადგენს. მეტროსადგურში დაიდგმება 20-მეტრიანი პოდიუმი. ალადაშვილის სამოსს სუხიშვილების მოცეკვავეები და 15-მდე სხვადასხვა მოდელი წარმოადგენენ", - განაცხადა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გოგა შამათავამ.

საღამოს დაესწრებიან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პოლიტიკური, ბიზნესისა და შოუბიზნესის წარმომადგენლები.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან: ილია ზუკაკიშვილი, გია გუგუშვილი, ლიკა ალადაშვილი, გოგა შამათავა, დედაქალაქის ხელოვანთა ჯგუფი და საქართველოს კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი.

# ექსპედიცია ჯავახეთში

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ე.წ. "მილიონიანი პროექტის" ფარგლებში ჯავახეთში არქეოლოგიური სამუშაოები დასრულდება. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდება ფარავნის ტბის აუზის არქეოლოგიური ძეგლების რუკის შედგენაც.

პროექტის ისტორია ასეთია: 2003 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული "სტუდენტთა საექსპედიციო მოძრაობა", პროფესიონალ არქეოლოგებთან ერთად სამხრეთ საქართველოში ფარავნის ტბის პირას გამოვლენილ ყორღანულ სამარხზე მუშაობდა. პროექტის კონსულტანტები იყვნენ: უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრი; ექსპედიციის სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ: პროფესორი კახა კახიანი და არქიტექტორი ნემო ჩიკაშუა. სამარხის ზედაპირზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების ორნამენტირებული კერამიკის ნატეხები და ბრინჯაოს ორი სამაჯური. სპეციალისტთა აზრით, სავარაუდოა, ქვაყრილის ქვეშ დასაკრძალავი კამერის ან ხის კონსტრუქციის არსებობა. თუმცა, შარშან უნივერსიტეტის მიერ ამ სამუშაოებისთვის გაღებული თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა დაწყებული გათხრების დასამთავრებლად, რის გამოც პროექტი შუა გზაზე შეწყდა.

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მხარის ჯავახეთის არქეოლოგიური კვლევის ისტორია XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ჯავახეთის ზეგანზე ტაბაწყურის მიდამოებში გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანით დათარიღებული ოთხი ყორღანი. ჯავახეთის ზეგანი საქართველოში პალეოლითური ძეგლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონია.

60-იანი წლებიდან ფარავნის ტბის მიდამოებში არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოხდა, ხოლო 90-იანი წლების გათხრებმა ამ რეგიონში მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებიც გამოავლინა. ამის მიუხედავად, ჯავახეთი არქეოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილ რეგიონს წარმოადგენს, რომლის უძველესი ისტორიის აღსადგენად მცირეოდენი მატერიალური კულტურის მონაცემიც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სპეციალისტების აზრით, სამინისტროს მიერ დაფინანსებული ექსპედიცია, რომელიც 40 დღეს გაგრძელდება, მნიშვნელოვნად შეავსებს არსებულ ისტორიულ ვაკუუმს.

# მიხეილ ქვლივიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი, ღირსების ორდენის კავალერი მიხეილ ქვლივიძე.

დაიბადა თბილისში 1925 წლის 22 თებერვალს. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ლექსების პირველი კრებული გამოაქვეყნა 1952 წელს. მ. ქვლივიძე ხუთასამდე ლექსისა და სამოცამდე წიგნის ავტორია. პოეტს განსაკუთრებული აღიარება მოუპოვა კრებულებმა: "ლირიკა", "მოკითხვამდე", "ლექსები", "დაბრუნება", "გაგრძელება იქნება", "შენთან ყოფნიდან უშენობამდე", პროზაულმა კრებულმა "ფიქრები .. ფიქრები..", მონოგრაფიამ "ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის", საყმაწვილო კრებულმა "აქ მიჯაჭვული იყო პრომეთე. წიგნი საქართველოზე" და სხვ.

მ. ქვლივიძე ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მას ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვს იტალიელი, პოლონელი, ესპანელი, რუსი პოეტების და დრამატურგების ნაწარმოებები. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ისეთი ოსტატების მიერ, როგორებიც არიან ა.ახმატოვა, ნ.ზაბოლოცკი, მ.სვეტლოვი, ბ.ახმადულინა. პოეტს შემოქმედებითი, დიდი მეგობრობა აკავშირებდა ასევე ა.მეჟიროვთან, ე.ევტუშენკოსთან, ბ. ოკუჯავასთან და რუსული კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან მეგობრობა აკავშირებდა.

მ. ქვლივიძემ თავისი ცხოვრების 33 წელი რუსეთში გაატარა, სადაც ქართულ მწერლობას წარმოადგენდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობა ქართულ-რუსული ლიტერატურულ ურთიერთობებს განამტკიცებდა.

მ. ქვლივიძის უკანასკნელი წიგნი სათაურით - "ვაპირებ ცხოვრებას" მემუარული ლიტერატურის ნიმუშს წარმოადგენს. წიგნი ცოცხალი მატიანეა იმ ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობისა, რომელმაც კვალი დაატყო პოეტის ცხოვრებას - ლაკონური რითმებით მდიდარ, სადა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე პოეზიას.

ჰუმანურმა, ინტელიგენტურმა, გულღია, ენამახვილმა, ყველა თაობის მკითხველისათვის საინტერესო პოეტმა ქართულ პოეზიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

მიშა ქვლივიძე - "კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს".

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------
მისამართი ----------
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------
დაბადების თარიღი ----------
სკოლა ----------
კლასი ----------
დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------
მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------
მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

# ზალიკოს ხსოვნას

ბოლომდე არავინაა სიცოცხლის არსისა და დანიშნულების მცოდნე. ყოველ შემთხვევაში, რასაც არ უნდა გვეუბნებოდეს რელიგია თუ ფილოსოფია, ყოველივე ეს პირადი განცდის, ეჭვის, ძიების საგანია და პასუხი, ამომწურავი პასუხი არავის ეძლევა უკანასკნელ წუთამდე.

არ ვიცით, რა პასუხი ჰქონდა ამ კითხვებზე ზალიკოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თავად მისი ცხოვრება ამართლებდა ადამიანთა მოდგმის არსებობას. ჩვენს არეულ დროში, როდესაც ბევრი რამ გადაფასდა ან გადაფასების პროცესშია, როდესაც სიცოცხლეც გაუფასურდა თითქოს, ეს კაცი უთქმელად ამტკიცებდა მარადიული ღირებულებების ყავლგაუსვლელ ძალას. იგი გვიჩვენებდა გადარჩენის გზას.

ზალიკოს თანაბრად ესმოდა მთისა და ქალაქის, თუ ქართველისა და ოსის. მისიც ყველგან ესმოდათ - ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც სიკეთისა და უანგარო თანადგომის ზოგჯერ მაინც სჯერათ. ზალიკოსთან საუბარი ხშირად ხდებოდა საკმარისი ცხოვრებისეული ვნებებისა და თავსატეხებისაგან გამოსაფხიზლებლად.

სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს ეს გამოფხიზლება დიდხანს არ მიჰყვებოდა, მაგრამ ვიხსენებდით და გვიხაროდა, რომ სადღაც ახლოს არის კაცი, რომელიც არ ემორჩილება რუტინას, არ გაურბის სხვის ტკივილს, არ ეძებს მატერიალურ კომფორტს.

კიდევ ერთი რამ იყო საინტერესო და გასაკვირი ზალიკოს არსში: როდესაც იგი სოციალური დინების აღმა მიდიოდა, ანდა თავისას დათმობდა თუნდაც უცნობი ადამიანისათვის ხელის გასამართად, ან როდესაც იგი ცივილიზაციის მარწუხებს ბუნებაში ჩაძირვით აღწევდა თავს, მას ვერ შეამჩნევდი ეჭვს, მერყეობას, დაღლას. ზალიკო ყველაფერს ღიმილით აკეთებდა. საქმე, რომელსაც ზალიკო მიეცემოდა, მის ხელში თითქოს კარგავდა სიმძიმეს. ზალიკოს შემხედვარე გახსენდებოდა, რომ უდიდესი ბედნიერება და სიამოვნება სწორედ იმის კეთებაა, რისიც უანგაროდ გჯერა - განსაკუთრებით, თუ საქმე, რომელსაც აკეთებ, ადამიანთა დახმარება, საზოგადოების გაკეთილშობილებაზე ზრუნვაა. ცხოვრების მთავარი საქმის მსუბუქად, ძალდაუტანებლად კეთების ბოლო მაგალითი კი მან თავისი უდროო წასვლით მოგვცა.

მაგრამ თუ ადამიანის წასვლა პირობითია, თუ წასვლის შემდგომ იგი სხვათა გულებში განაგრძობს ცხოვრებას, ეს, პირველ რიგში, ზალიკოს მსგავს ადამიანზე ითქმის. გვჯერა, რომ ვინც მას ვიცნობდით, მასთან საუბრები გვქონია და მისი საქმის მომსწრე ვყოფილვართ, ზალიკოს გახსენებით ზოგჯერ მაინც ვიქნებით საკუთარ თავზე უკეთესი.

და მაინც, ზალიკომ ტკივილი მოგვაყენა. მან გული მოუკლა თავის ოჯახს. თუ აქ ნუგეში უადგილო არაა, სანუგეშო ისაა, რომ ახლა ცოტა მეტად გვესმის, თუ რისთვის გაჩნდა ადამიანი.

***ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" თანამშრომლები***




